გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

დავით ზალკალიანი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ ბრუნდება

გვ.5

ხუთშაბათი, 7 იანვარი, 2016 №4 (6931) ფასი: 50 თეთრი

სერგო რატიანი: „ქართულმა ოცნებამ 8 მილიარდი დაკარგა“

„ღარიბაშვილი ვარაუდობდა ჩვენი რეიტინგებიდან გაქრობას და გაქრა თვითონ“

გვ.2



ემზარ კვიციანი: „ივანიშვილს ხალხი სააკაშვილივით შეიძულებს“

გვ.4

„აგვიხსენით, ბატონო ბიძინა, რატომ იყავით ნაციონალებთან შეხმატკბილებული“

„არჩევნებში სერიოზული შანსი ექნებათ მარგველაშვილისა და ბურჭულაძის გაერთიანებას“

გვ.5

ვალერი გელბახიანი: „ღარიბაშვილი საგარეო ფაქტორების გამო გაუშვეს“

მამუკა კაციტაძე: „ხელისუფლებას სერიოზული პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს“

გვ.4

„დასავლეთი გრანტებს პატრიარქის ლანძღვისთვის არიგებს?“

გვ.3

ISSN 1987-9385



გვ.6

„ეროვნული ბანკის ახალმა პრეზიდენტმა კრედიტების პროცენტი უნდა შეამციროს“

სერგო რატიანი: „ქართულმა ოცნებამ 8 მილიარდი დაკარგა“

ნონა ცაბაძე

„ღარიბაშვილი ვარაუდობდა ჩვენი რეიტინგებიდან გაქრობას და გაქრა თვითონ“

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი „ოცნებაში“ განხორციელებულ ცვლილებებს არჩევნებს უკავშირებს.

– პრობლემა ძალიან მარტივია, მოახლოვდა არჩევნები, ღარიბაშვილი კი არის წარუმატებლობის სიმბოლო. ფაქტობრივადაც იყო, მაგრამ მავანის სურვილია, რომ კიდევ უფრო გახადოს, როგორც სიმბოლო და როგორც წარსული, – აცხადებს სერგო რატიანი „ახალ თაობასთან“ საუბრის დროს.

– ეს რისთვის დასჭირდათ?

– ფაქტია, რომ ქვეყანა იმყოფება მძიმე ეკონომიკურ, ინსტიტუციურ და პოლიტიკურ კრიზისში. ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ არა მარტო ვერ შეასრულა დანაპირები, არამედ უკან წაიყვანა ქვეყანა. დღეს ჩვენ უნდა ვყოფილიყავით 8 მილიარდით უფრო მდიდრები. 8 მილიარდი დაკარგა „ოცნებამ“ და ასეთი პრემიერით არჩევნებზე გამოსვლა იქნებოდა ფრიად წამგებიანი.

– შეიცვალა ღარიბაშვილი, რა იცვლება ამ ვითარებით?

– სწორედ ეს უნდა შევაფასოთ ჩვენ. პირველ რიგში, ღარიბაშვილი იყო აგრესიული, იყო უცოდინარი და იყო უუნარო. ეს მთავრობა ამით ხასიათდება. კვირიკაშვილი არ არის უცოდინარი, პოლიტიკურ საკითხებში მაინც, არც აგრესიული, მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ეკონომიკის მიმართულებით ჩვენ გვაქვს სერიოზული უკუსვლა და ამ სიტუაციაში მისი პასუხისმგებლობა არის სრულიად ცალსახა. ეკონომიკურ საკითხებში კვირიკაშვილი ივანიშვილის კარზე გაცილებით მეტ ავტორიტეტს წარმოადგენდა, ვიდრე ყოფილი პრემიერი. მხოლოდ ყოფილ პრემიერზე გადაბრალება ეკონომიკური ვითარებისა არ არის სწორი. ამაში პასუხისმგებლობა ეკისრება ახალ პრემიერსაც და გაცილებით მეტი, ვიდრე ძველს, რადგან თუ ივანიშვილი ვინმეს საერთოდ უსმენს, ამ მიმართულებით გაცილებით მეტი ავტორიტეტით სარგებლობდა კვირიკაშვილი.

– იმის თქმა გინდათ, რომ არაფერი შეიცვლება?

– ფაქტობრივად, არაფერი იცვლება. რეალურად არის ერთი კაცის მმართველობა. ფორმალურად შეიცვალა შემსრულებელი. კვირიკაშვილს არ ჰქონია ეკონომიკაში გარღვევები და ახალი წინადადებები. არც იმ ცუდი პოლიტიკის წინააღმდეგ აღმოაჩნდა ნება, რაიმე შეეცვალა.

– მაშინ რითია წინამორბედზე უკეთესი?

– ის არ არის აგრესიული. ბიძინა ივანიშვილს უნდა არჩევნების წინ სიტუაციის ნორმალიზება. როგორც წესი, ეს არის ძალიან მარტივი თამაში, რასაც უწოდებენ კარგი და ცუდი პოლიციელის თამაშს. ამ ხნის განმავლობაში ივანიშვილმა ღარიბაშვილის ხელით გააფუჭა ყველაფერი, რისი გაფუჭებაც შეეძლო და ახლა მას სჭირდება კარგი პოლიციელი, რომელიც მეთოდით განსხვავდება და არა – მიზნებით.

– და რას ისახავს მიზნად ეს მეთოდი?

– კეთილი პოლიციელის მიზანია, ნებით დაგათმობინოს ის, რაც ცუდმა ძალით ვერ დაგათმობინა. ერთადერთი, რაც წასართმევი დარჩა ივანიშვილს, არის ხალხის არჩევანი და ხალხის ნება. როგორც ჩანს, მან აირჩია ეს ტაქტიკა. ჩვენ არ ვიცით, რას იზამს კვირიკაშვილი. არ ვიცით, როგორი იქნება რეპრესიული მანქანა კვირიკაშვილის ხელში.

– გამოდის, რომ ირაკლი ღარიბაშვილი აღმოჩნდა განტევების ვაცი?

– გარკვეულწილად ასეა. ივანიშვილმა გადაწყვიტა, წარსულს ჩააბაროს ეს სამი წარუმატებელი წელიწადი. ღარიბაშვილი იყო ფიგურა, რომელიც დიდ აგრესიას ისრუტავდა.

– თუმცა ივანიშვილმა მის პოლიტიკაში შესაძლო მოსვლაზეც გააკეთა მინიშნებები და ეს როგორ უნდა გავიგოთ?

– ივანიშვილის სვლები ხშირ შემთხვევაში საკმაოდ უცნაურია. ჩვენ არ ვიცით, რისთვის ამზადებს ან არ ამზადებს ღარიბაშვილს. ღარიბაშვილი არის ის პაიკი, ის თოჯინა, რომელიც ბოსის ნებისმიერ დავალებას შეასრულებს.

– ანუ, არის შესაძლებლობა, რაიმე ახალი სვლა შემოგვთავაზოს?

– მე არ ვურჩევდი ბიძინა ივანიშვილს ამას. ძალიან გაცვეთილი პაიკი და თოჯინაა იმისთვის, რომ ამ ეტაპზე რაღაც ფუნქცია შეასრულოს.

– ცვლილებები იგეგმება მინისტრთა კაბინეტშიც. არჩევნების წინ ნაციონალებსაც კარგი მეთოდი გქონდათ კარუსელის და ოცნებამ ეს თქვენგან აითვისა?

– აქ კარუსელი არაფერ შუაშია. თუ უნდოდათ, რომ თუნდაც ღარიბაშვილის ცვლილება ქმედითი ყოფილიყო, ეს უნდა მომხდარიყო გაცილებით ადრე. ჩვენ სულ ვამბობდით და საზოგადოებისთვისაც ცალსახაა, რომ ღარიბაშვილმა და მისმა კაბინეტმა ამოწურეს თავი. ფინანსთა მინისტრი უნდა წასულიყო წელიწადნახევრის წინ, ერთი წლის წინ უნდა წასულიყო ეს მთავრობა. დღეს ადეკვატური იქნებო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ნიკა მელია: „შევაკვდებით და სტადიონზე საცხოვრებელი კორპუსის აშენების საშუალებას არ მივცემთ“

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან აქცია გაიმართა სახელწოდებით, „შეწყდეს სტადიონების ნგრევა“. აქციის მონაწილეებმა საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის“ სტადიონის ტერიტორიაზე დაგეგმილი, საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა გააპროტესტეს და თბილისის მერს, დავით ნარმანიას ინვესტორისთვის ალტერნატიული ფართის შეთავაზებისა და სტადიონის აღდგენისკენ მოუწოდეს.

როგორც აქციაზე ნაციონალური მოძრაობის წევრმა ნიკა მელიამ განაცხადა, თუ დავით ნარმანია მშენებლობის დაწყების ნებართვას გასცემს, თავის მოღვაწეობას ცუდად დაამთავრებს.

– მე ვაფრთხილებ ბატონ ნარმანიას, თუ მის მიერ გაიცემა სამშენებლო ნებართვა იმ ადგილას, რომელიც დაანგრია ინვესტორმა უნებართვოდ, ძალიან ცუდად დამთავრდება მისი მოღვაწეობა ამ ქალაქში. შევაკვდებით და იმ ადგილზე საცხოვრებელი კორპუსის აშენების საშუალებას არ მივცემთ. კეთილი ინებოს და როგორც მისივე გაცემული ნებართვა გააუქმა პეკინის 23 ნომერში, იქაც ვაიძულეთ და ადგილი მოუნაცვლა ინვესტორს, ასევე მოიქცეს აქაც. შესთავაზოს სხვა ტერიტორია და იქ ბავშვებს აღუდგინოს სტადიონი. ეს არის ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პირველ თებერვალს არ ჩაიდენს ნარმანია საშინელებას და არ გასცემს ნებართვას, – განაცხადა ნიკა მელიამ.

სკოლა „ოლიმპის“ დამფუძნებლები, სკოლის აღსაზრდელების მშობლები და ნაციონალური მოძრაობა სტადიონის ტერიტორიაზე სამშენებლო ნებართვის გაცემის შემთხვევაში, მშენებლობისთვის ხელის შეშლას ადგილზე 24 საათიანი მორიგეობით აპირებენ.

მედიანიუსი

ბაგა-ბაღებში ბავშვთა ფიზიკური დასჯა კანონით აიკრძალება

სადღეისოდ ერთიანი სამართლებრივი აქტი არ არსებობს, რომელიც უშუალოდ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს დაარეგულირებდა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სფეროს სპეციალური კანონი დაარეგულირებს.

საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატების, ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძისა და ოთარ ჩრდილელის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, ბაგა-ბაღებში ბავშვთა ფიზიკური დასჯა კანონით აიკრძალება.

დაწესებულებაში ასევე აკრძალულია ბავშვთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ფიზიკური დასჯა, უგულებელყოფა, შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი მოპყრობა.

კანონპროექტის ერთ-ერთი პრინციპია განათლების მომსახურებაში მშობელთა ჩართვა. ამ მიზნით ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში საკონსულტაციო საბჭოები შეიქმნება, რომლის 7 წევრიდან 5 – მშობელი, ორი კი, დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგი იქნება.

პროექტით საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება შემდეგი საკითხები: ჯგუფების ჩამოყალიბების წესი ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, ჯგუფში ბავშვების რაოდენობა, აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა.

კანონპროექტი მკაფიოდ მიჯნავს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებებს, დეტალურად განსაზღვრავს ამ სფეროში მთავრობის, სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების კომპეტენციის ფარგლებს.

კანონპროექტის მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის სავალდებულო წესის შემოღება იგეგმება.

ავტორიზაციას ახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული.

კანონპროექტის მიხედვით, სადღეისოდ ერთიანი სამართლებრივი აქტი არ არსებობს, რომელიც უშუალოდ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს დაარეგულირებდა.

არსებობს მხოლოდ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ჩანაწერი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს შორის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა არის განსაზღვრული.

რაც შეეხება პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს, როგორც მისი ავტორები განმარტავენ, პროექტში თავმოყრილია ყველა ძირითადი სტანდარტი, რომელმაც ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფერო უნდა დაარეგულიროს.

კანონპროექტით გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი სწავლების სისტემა: ადრეული განათლება და ზრუნვა დაბადებიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის და სკოლამდელი განათლება 2 წლის ასაკიდან ბავშვის სკოლაში შესვლამდე.

კანონპროექტი ნერგავს საყოველთაო სასკოლო მზაობის პროგრამას ყველა ხუთი წლის ასაკის ბავშვისთვის.

კანონპროექტის მიხედვით, თითოეული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებას ყველა ბავშვისთვის ანუ საგანმანათლებლო მიდგომას, რომლის ფარგლებშიც განათლების

სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ხარისხიან განათლებას დაწესებულებებში მათი ინდივიდუალური

საჭიროების გათვალისწინებით, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.

ნიუპოსტი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„დასავლეთი გრანტებს პატრიარქის ლანძღვისთვის არიგებს?“

შორენა მარსაგიშვილი

ნიკოლოზ მჟავანაძე: „აგვიხსნას ნანუაშვილმა, რატომ არ იცავს მართლმადიდებლების უფლებებს“

რატომ არ ხდება დასჯადი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, რატომ არ რეაგირებს მართლმადიდებელი მრევლის შეურაცხყოფაზე სახალხო დამცველი, რატომ უნდა აიკრძალოს უცხოეთიდან არასამთავრობოების დაფინანსება, ვინ იძლევა გრანტებს პატრიარქის ლანძღვაში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

ნიკოლოზ მჟავანაძე:

– პატრიარქზე შეტევის ახალი ტალღა დაიწყო. ამჯერად ამ საქმეში ვაიპოეტებიც ჩაერთვნენ. რატი ამაღლობელის მიერ დაწერილი ე.წ. ლექსი არა მარტო მართლმადიდებლების, არამედ მუსლიმების შეურაცხყოფაცაა. ჩვენს უწმინდესს მუსლიმებიც დიდ პატივს სცემენ და ამის შესახებ მათ არაერთხელ გაუკეთებიათ განცხადება.

რამდენიმე დღის წინ თბილისში მოხდა უბედურება და ადამიანი ქუჩაში გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, მისი სიკვდილის მიზეზი გულის შეტევა გახდა. ეს ლიბერასტები კი ამტკიცებენ, რომ ის ადამიანი გაიყინა და ამაში პატრიარქს ადანაშაულებენ. მაინტერესებს, რა შუაშია ამ ტრაგედიასთან უწმინდესი? პატრიარქი არ არის მთავრობის მეთაური, რომ ადამიანების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს. ეს მთავრობის მოვალეობაა.

პატრიარქს ახლა საერო საქმეების მოგვარებას რომ ავალებენ, ესენი არ იყვნენ, რამდენიმე კვირის წინ ერთი ამბავი რომ ატეხეს? ესენი არ ყვიროდნენ, როგორ გაბედა ილია მეორემ და როგორ თქვა, ნეტა შეწყალების უფლება მქონდესო. როცა გჭირდებათ, მაშინ უნდა ჩაერიოს პატრიარქი საერო საქმეებში და როცა არ გჭირდებათ, მაშინ არა?

ამ ლიბერასტების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ყოველდღიურად სხვადასხვა მონასტრებში ასეულობით მოქალაქე ღებულობს საკვებს და ტანსაცმელს.

მთელ რიგ ეკლესიებში უპოვართათვის სასადილოები აქვთ გახსნილი. რამდენი მღვდელი ვიცი, რომლებიც თავიანთ მწირ შემოსავალს სხვებს უწილადებენ. მაინტერესებს, ესენი თუ ეხმარებიან გაჭირვებულებს იმ გრანტებით, რომლებსაც პატრიარქის ლანძღვაში ღებულობენ?!

– გინდათ თქვათ, რომ გრანტი პატრიარქის ლანძღვისთვის გაიცემა?

– ისეთი შეტევა მიდის პატრიარქსა და ეკლესიაზე, ისეთი თემებისგან აგორებენ სკანდალს, რომ ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი. ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია სწორედ ამიტომ ღებულობს ფულს. ამათ ახლა ეს რატი ამაღლობელიც დაემატა, რომელსაც ჩვენ, მართლმადიდებლები, ვუხდით ფულს. მას საზოგადოებრივ მაუწყებელზე რაღაც გადაცემა მიჰყავს. საზოგადოებრივი მაუწყებელი კი ბიუჯეტიდან ანუ ჩვენ მიერ გადახდილი ფულით ფინანსდება. მე, როგორც მართლმადიდებელს, არ მინდა, რომ უწმინდესის მგმობელს ჩემი ჯიბიდან გადავუხადო ხელფასი.

რამდენიმე თვის წინ ჟურნალისტი ეკა მიშველაძე იმიტომ გაუშვეს საზმაუწყებლიდან, რომ მისი ქმარი პოლიტიკოსი იყო. წესით, აღარც ამაღლობელი უნდა გააჩერონ იქ, რომელიც ჩვენს რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფას აყენებს.

– თქვენი აღშფოთება გასაგებია, მაგრამ რატი ამაღლობელის ლექსის გამო ღირს ამდენი ხმაურის ატეხა?

– აბა რა ვქნათ, გავჩუმდეთ და ვუყუროთ, როგორ ლანძღავს პატრიარქს? სხვების მსგავსად, მასაც არ შეუძლია რაიმე ღირებული ნაწარმოების შექმნა და ასეთი სულმდაბალური ლექსებით უნდა თავის დამკვიდრება. მერე მიხვდა, რომ შეურაცხყოფა მიაყენა უწმინდესს და თავის მართლება დაიწყო, ეს მხოლოდ ლექსიაო. რა ლექსი და რა პოემა, გაყინული პატრიარქია ლექსი, შე უბედურო? პატრიარქი კი არ გაიყინა, რატი ამაღლობელს აქვს გაყინული ტვინი და გული.

ადამიანს მართლა გაყინული უნდა გქონდეს გული, რომ 83 წლის პატრიარქს თავის დაბადების დღეზე ასეთი შეურაცხყოფა მიაყენო. ამდენს რომ ლაპარაკობენ, წარმოდგენა აქვთ მის ღვაწლზე საერთოდ? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის შაბათ-კვირას თავად აღავლენს წირვა-ლოცვას. არადა, მას ჯანმრთელობა სერიოზულად აქვს შერყეული. ლიბერასტებს შევახსენებ, რომ მართლმადიდებლურ ქვეყნებში პატრიარქები თავად წირვას ძირითადად არ ატარებენ. ასეთი რამ მხოლოდ დღესასწაულებში ხდება.

ასეთ განცხადებებზე, დიახაც, უნდა გვქონდეს რეაქცია. ეს ჩვენი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა. ჩვენს წინაპრებს ასე რომ ეფიქრათ, 100.000 მოწამე არ გვეყოლებოდა. ისინიც იტყოდნენ, გადავაბიჯებთ ღვთისმშობლის ხატს და ამით ხომ არაფერი დაშავდებაო. ეს ლიბერასტები ხატებსაც გადაუვლიდნენ და ეკლესიებსაც დაარბევდნენ.

– რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ახსენეთ, სახალხო დამცველი რატომ არ რეაგირებს ამაზე, თუ არ თვლის, რომ პატრიარქის ლანძღვა მართლმადიდებლების რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა?

– უჩა ნანუაშვილი ხომ საერთოდ ცალკე თემაა. მას ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ მივმართე, მაგრამ რეაქცია არ არის. მას მართლმადიდებლების უფლებები გამოკვეთილად არ აინტერესებს. მისი მიზანი სექსუალური და რელიგიური უმცირესობების დაცვაა.

შარშან მეჩეთთან გოჭის თავი დაკიდეს და ერთი ამბავი ატეხა, ეს მუსლიმების შეურაცხყოფააო. კი ბატონო, ასეა, მაგრამ ხმა რატომ არ ამოიღო, ილიას უნივერსიტეტში თვითმკვლელი ღვთისმშობლის სურათი რომ გამოფინეს?! ამაზე ნანუაშვილმა თქვა, ეს გამოხატვის თავისუფლებაა. მაშინ გოჭის თავის დაკიდებაც გამოხატვის თავისუფლებაა.

მისი ასეთი პოზიცია ბევრ ეჭვს იწვევს. კეთილი ინებოს და საჯაროდ გვითხრას, რატომ არ იცავს მართლმადიდებლების უფლებებს. აგვიხსნას, რატომ არ დაუჭირა მან მხარი იმას, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა დასჯადი გამხდარიყო.

რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის გამო არასამთავრობოებიც ერთ ამბებს ტეხენ, მაგრამ სწორედ რამდენიმე არასამთავრობოს აქტიურობით არ გახდა დასჯადი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა.

– დასჯადი რომ გამხდარიყო, ეს გამოიღებდა რაიმე შედეგს?

– როგორ არ გამოიღებდა შედეგს? ადამიანებს რომ ეცოდინებოდათ, რომ ეს ქმედება დასჯადია, არც მეჩეთზე დაკიდებდა ვინმე ღორის თავს და არც პატრიარქს მიაყენებენ შეურაცხყოფას.

ხანდახან მგონია, რომ შიზოფრენიის მესამე სტადიაა საქართველოში. მთელი ქვეყანა 200 კაცის ჭკუაზე დადის. ეს ტვინგადაბრუნებული არასამთავრობოები სულ რაღაც 200 იქნებიან. სამაგიეროდ, იმხელა დაფინანსება აქვთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციას, ერთად აღებულს, არც კი დაესიზმრება.

თუ დასავლეთის ქვეყნები და ფონდები ფულს ეკლესიის ლანძღვაში იძლევიან, მაშინ ეს პირდაპირ თქვან. ეს საკითხი აუცილებლად უნდა იქნას შესწავლილი და მათი დაფინანსება უნდა ავკრძალოთ.

– მერე ამაზე ატყდება ერთი ამბავი.

– ატეხონ და იყვნენ. პოლონეთი არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, სადაც უცხოეთიდან არასამთავრობოების დაფინანსება აკრძალულია. ეს ჩვენც უნდა ავკრძალოთ. ამ გულგაყინულებს სახეზე ნიღაბი აქვთ აფარებული, ვითომ ადამიანის უფლებებს იცავენ და ამ ეგიდით ქვეყანას ებრძვიან.

საქართველოში ბოლო ხანებში ჩამოყალიბდა ერთგვარი სტერეოტიპი, რომ ვინც ეკლესიას და პატრიარქს იცავს, ის შავბნელი ადამიანია. არჩევნების წინ ყველა პარტიამ უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე, რა იგეგმება ამ მიმართულებით.

– რას გულისხმობთ?

– უნდა გვითხრან, გახდება თუ არა დასჯადი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. ეს ქმედება დასჯადი თუ არ გახდა, ძალიან ცუდ შედეგამდე მიგვიყვანს. ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ საქართველოში მართლმადიდებლობა და პატრიარქი გაგვიხდებოდა დასაცავი.

ჩვენი არასამთავრობოები ორმაგ სტანდარტებს ყველა მიმართულებით ავლენენ.

ყველამ ვიცით, რომ საია-მაიები, გენდერ-მენდერ-შმენდერები ქალების უფლებების დაცვაზე ყვირიან. ალეკო ელისაშვილი გამოდის და ყოველდღე ეკა ბესელიას და მანანა კობახიძეს შეურაცხყოფას აყენებს. მათ შეურაცხყოფაზე ხმა არავის ამოუღია.

– შესაძლოა, იმიტომ არ იღებენ ხმას, რომ დეპუტატები არიან და ფიქრობენ, რომ თავს თავადაც დაიცავენ?

– რას ჰქვია დეპუტატები არიან? დეპუტატი ქალი არ არის? მარიამ საჯაიაც დეპუტატი იყო, ერთი ამბავი ატეხეს. ზვიად კვაჭანტირაძე კინაღამ ჩაქოლეს, რომელიც დაინტერესდა, რა ისეთ ტექნოლოგიებს ფლობდა, 21 წლის ასაკში პარლამენტში რომ მოხვდა.

სერგო რატიანი: „ქართულმა ოცნებამ 8 მილიარდი დაკარგა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

და, რომ უკვე ვყოფილიყავით რიგგარეშე არჩევნების რეჟიმში.

– რატომ?

– დღეს პარლამენტმა ამოწურა თავისი თავი და ცალსახაა, რომ ივანიშვილის რეჟიმმა მთლიანად ამოწურა თავისი თავი.

– იმის თქმა გინდათ, რომ ეს ცვლილებები დაგვიანებულია?

– მე ვფიქრობ, რომ დაგვიანებულია. ჩვენნაირ ქვეყანაში მინისტრების სწრაფი ცვლილება უფრო ადეკვატურია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ძალიან სწრაფად ამოწურავენ ხოლმე ისინი საკუთარ თავს.

– წინ არჩევნებია, გააქტიურდება ივანიშვილი და კვლავ შემოვა აქტიურ პოლიტიკაში?

– დღეს ივანიშვილს საკმაოდ ისტერიული რეჟიმი აქვს, რადგან ბოლო ორი გამოკვლევის მიხედვით, მისი პარტიის რეიტინგი მერყეობს 14-დან 18%-მდე. ეს ნიშნავს იმას, რომ ძალაუფლება ხელისუფლების ხელში აღარ არის, ის არის ქუჩაში და ამის შემობრუნება ერთი წლის განმავლობაში არის თითქმის შეუძლებელი.

– ნაციონალურ მოძრაობას რა შანსები აქვს? იმ ფონზე, როდესაც ამდენი ახალი მოძრაობა და გაერთიანება იქმნება?

– ჩვენ შევამცირეთ და ამოვწურეთ ის 50%-იანი სხვაობა, რომელიც იყო არჩევნების შემდეგ და სამი წლის თავზე ჩვენ დავფიქსირდით, როგორც მთავარი ალტერნატივა. სხვა ალტერნატივა, სხვა პოლიტიკური ძალა უბრალოდ არ არის და ამას ძალიან მარტივი ახსნა აქვს.

– რა ახსნა?

– ყველაზე სერიოზული პრობლემა დღეს არის ეკონომიკური პრობლემა და სხვა პოლიტიკური ძალა, რომელსაც აქვს გამოცდილება, გამოიყვანოს ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან, უბრალოდ არ არის.

– იმის თქმა გინდათ, რომ კვლავაც შეინარჩუნებთ მთავარი ალტერნატივის მქონე ძალის პოზიციას?

– დიახ, ეს სრულიად ცალსახაა. საზოგადოებას შეუძლია შევიდეს კიდევ ერთ ექსპერიმენტში – ოცნება-2, ან იავნანა, ეს ძალიან საინტერესოა ოცნების შემდეგ. თუმცა ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის გამოცდილება სხვა პოლიტიკურ პარტიას, უბრალოდ, არ აქვს.

– იავნანა ახსენეთ, თუმცა აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ პაატა ბურჭულაძე თქვენი კადრია.

– ამ შემთხვევაში სიმბოლურად ვახსენე და არა – ლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე.

– მე ასოციაცია გამიჩნდა ბურჭულაძის იავნანასთან და ალბათ მკითხველსაც. რამდენად არის ბურჭულაძე თქვენი კადრი?

– აბა რა გითხრათ. პარტიის აღმასრულებელი მდივანი ვარ და, მართალი გითხრათ, მას არც ვიცნობ.

– რამდენად გენდობათ ამომრჩეველი იმ 9 წლიანი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე?

– ძალიან მარტივ კითხვას დავსვამდი – ყველაზე უფრო მწარე ვისთვის იყო ეს გამოცდილება, ის შეცდომები, რომლებიც ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას? რასაკვირველია, ნაციონალური მოძრაობის წევრებზე მეტად ეს არ განიცადა არავინ და ჩვენზე მეტად ეს არ სტკენია არავის.

– ამან რა გასწავლათ?

– მიმაჩნია, რომ ეს გამოცდილებაც, როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური, დაგროვდა ნაციონალურ მოძრაობაში. ნაციონალურმა მოძრაობამ დაამკვიდრა სტანდარტი სახელმწიფო მშენებლობის და მან ნათლად შექმნა ქართული თანამედროვე სახელმწიფოს ინსტიტუციური საფუძვლები. ასევე ჩვენ გვყავს სრულიად მყარი ამომრჩეველი. ჩვენ დავამკვიდრეთ დასავლური ტიპის პოლიტიკური პარტიის სტანდარტი.

– ამაში რა იგულისხმება?

– როდესაც მას ჰყავს სრულიად მყარი ამომრჩეველი. მსგავსი ტიპის ამომრჩეველი არც ერთ პარტიას არ ჰყავს. ეს ნიშნავს, რომ არსებობს თანამოაზრეთა დიდი სივრცე.

– თუმცა არც ისე დიდია თქვენი მხარდამჭერთა რიცხვი.

– თქვენ უბრალოდ ვერ დამისახელებთ დასავლეთშიც კი პარტიას, რომელსაც ოპოზიციაში აქვს ესოდენ დიდი რეიტინგი. ჩვენ გვაკრიტიკებენ, რომ ეს 15-20% მხარდაჭერისა არ იცვლება, თუმცა სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი, რომ ოპოზიციაში ყოფნის პირობებში, როცა ამხელა რეპრესიული მანქანა მუშაობს ჩვენ წინააღმდეგ, პროცენტი უცვლელია.

გახსოვთ, რომ წინა პრემიერი ვარაუდობდა ჩვენი რეიტინგებიდან გაქრობას და გაქრა თვითონ. ფაქტობრივად, მთლიანად ჩამოიშალა „ქართული ოცნების“ რეიტინგი და ამ ფონზე ჩვენი რეიტინგი სტაბილურად უცვლელია. ეს მოგების დიდ საფუძველს იძლევა.

ანგელა მერკელი გიორგი კვირიკაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნას ულოცავს

ანგელა მერკელი გიორგი კვირიკაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნას ულოცავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი, ანგელა მერკელი გიორგი კვირიკაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნას ულოცავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, მისალოც წერილში, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიიღო, ანგელა მერკელი ასევე მიესალმება ევროკომისიის მოხსენებას, საქართველოს მიერ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ის, საქართველოს მთავრობისთვის, რეფორმების გაგრძელების მოტივაცია უნდა გახდეს.

ანგელა მერკელი:

– დარწმუნებული ვარ, ურთიერთობები ჩვენს ქვეყნებს შორის მომავალშიც დადებითი მიმართულებით განვითარდება. გერმანია დარჩება საქართველოს სანდო პარტნიორად თქვენი ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების გზაზე. გისურვებთ წარმატებებს თქვენი საპასუხისმგებლო ამოცანების შესრულებაში. მოხარული ვიქნები, თუ მალე ბერლინში გიხილავთ.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

მამუკა კაციტაძე: „ხელისუფლებას სერიოზული პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს“

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი მამუკა კაციტაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ხელისუფლებას მოუწევს ხისტი პოზიციის შეცვლა და პოლიტიკური ოპოზიციის იგნორირების პოლიტიკის დასრულება.

მამუკა კაციტაძე:

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის გარემო უკვე იმდენად არასანდოა, რომ ხელისუფლებას სერიოზული ძალისხმევა მოუწევს ამ ყველაფრის გამოსასწორებლად, ან სერიოზული პოლიტიკური ფასის გადახდა.

ჩვენ, არასაპარლამენტო ოპოზიციამ სურვილი გამოვთქვით, რომ საქართველოს ახალ პრემიერ-მინისტრს უმოკლეს დროში შევხვდეთ. ის არის სამი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებიდან ერთ-ერთი, ვისაც გვინდა ვესაუბროთ საპარლამენტო არჩევნების წინ არსებულ გარემოზე, მათ შორის, საკანონმდებლო ბაზაზე.

– რა პოზიციას ელით პრემიერისგან?

– ჩვენ გვაინტერესებს მისი პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც გვაქვს. ზოგადად მისი ხედვა გვაინტერესებს. ეს შეხვედრა აუცილებლად უნდა შედგეს, რომ კიდევ უფრო არ მოხდეს პროცესების ესკალაცია, საარჩევნო გარემოს დაძაბვა.

– რა არის თქვენი სათქმელი?

– ამას შეხვედრაზე ვეტყვით პრემიერს და ჩვენს ინიციატივებსაც გავაცნობთ და კონკრეტულ გამოსავლებსაც იქ შევთავაზებთ. ევროსაბჭოს რეკომენდაციები შეუსრულებელი და იგნორირებულია. ამაზეც იქნება საუბარი. ჩვენი პოზიცია გვექნება ასევე გარდაბნის გამგებლის არჩევნებთან დაკავშირებით. 2016 წლის ოქტომბრამდე ხელისუფლება ნამდვილად არ მოიწყენს.

– რას გულისხმობთ?

– სერიოზული პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს ხელისუფლებას საარჩევნო წინადადებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. სერიოზული დისკომფორტი შეექმნებათ არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც შეუვალი, ხისტი და იგნორირებადი პოლიტიკის გამო. ეს პოლიტიკა მან უნდა დაასრულოს.

– პოლიტიკურ ფასში რას გულისხმობთ?

– როდესაც ასე ემიჯნება ხელისუფლება პოლიტიკურ ოპოზიციას, სამოქალაქო სექტორს და საკუთარ მოქალაქეებს, თუნდაც იმ 200 ათას მოქალაქეს, რომელთაც თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს, მაშინ ძვირ ფასს იხდის, პოლიტიკურ ფასს და ხშირ შემთხვევაში შორდება ხელისუფლებასაც. ამის მაგალითები უახლეს პოლიტიკურ ისტორიას ბევრი ახსოვს.

200 ათასი ჩვენი მოქალაქის ხელმოწერები შევა პარლამენტში 20 იანვრის შემდეგ და დაიწყება საკანონმდებლო პროცესი. აქედან გამომდინარე საკონსტიტუციო ცვლილების მოსწრებადობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის დღის წესრიგიდან მოხსნილი და მისი განხორციელება ჯერ კიდევ არის შესაძლებელი. რასაკვირველია, თუკი ამის გაკეთება უნდა ხელისუფლებას.

თუ ეს არ მოხდა, მაშინ ჩვენ გვაქვს ალტერნატიული წინადადებები, რომელთათვისაც არ არის აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებები, ამის გაკეთება საარჩევნო კოდექსში ცვლილების განხორციელებით არის შესაძლებელი. ამისთვის კი წინ არის საგაზაფხულო სესია.

– თუ საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზე უარი თქვა ხელისუფლებამ?

– თუ ამ ყველაფერზე უარი თქვა ხელისუფლებამ, მაშინ ძალიან ცხელი საარჩევნო კამპანიის ჩატარება მოუწევს მას. ამას დაემატება უმნიშვნელოვანესი რამ, თავად არჩევნების პოლიტიკური ლეგიტიმაციის საფრთხე დადგება.

– ეს როგორ?

– სამართლებრივი კუთხითაც იქნება ეს საფრთხე, რადგან 73 ერთმანდატიან ოლქად დაჩეხილი საქართველო მაინც არ ჯდება საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებაში, რომელსაც თითქოს შეუსაბამა ახალი ოლქების საზღვრების დადგენა.

– თუ ისე არ განვითარდა მოვლენები, როგორ თქვენ სთავაზობთ ხელისუფლებას, პროტესტი გარდაუვალია?

– თუ ხელისუფლება ამ ყველაფრის იგნორირებას მოახდენს და ის ხისტ პოლიტიკას გააგრძელებს, რომ როგორმე მიისაკუთროს ძალაუფლება 2016 წლის არჩევნებზე და ამას დაემატება მედიაზეწოლა, მურუსიძისა და მისნაირების წახალისება და დანიშვნა, მაშინ ამაში სერიოზული პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს მას.

ეს რა ფონით მოხდება, საპროტესტო აქციებითა თუ მწვავე ვნებებით, ამას დრო გამოაჩენს. ეს პოლიტიკური გემოვნების საკითხიც არის, ყველაფერთან ერთად.

ემზარ კვიციანი: „ივანიშვილს ხალხი სააკაშვილივით შეიძულებს“

შორენა მარსაგიშვილი



„აგვიხსენით, ბატონო ბიძინა, რატომ იყავით ნაციონალებთან შეხმატკბილებული“

რა პრეტენზიები აქვს კოდორის ხეობის ყოფილ რწმუნებულს ბიძინა ივანიშვილთან, რას ამადლიან მას „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირები, ვინ და რატომ გაიზიარებს სააკაშვილის ბედს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ემზარ კვიციანი ესაუბრება.

ემზარ კვიციანი:

– არა ვარ უმადური კაცი და არ მავიწყდება, რომ ივანიშვილმა საქართველოს ისეთი ჭირი მოაშორა, როგორიც სააკაშვილია. სწორედ ამიტომ ვითმენდი ამდენს და ვიკავებდი თავს ჩემი პოზიციის დაფიქსირებისგან. სათქმელი კი ბევრი დამიგროვდა. სათქმელის გარდა, ივანიშვილთანაც მაქვს კითხვები და იმედია, ამაზე პასუხს გამცემს.

მე უკვე მივმართე მას ამ კითხვებით და თუ „ახალი თაობა“ წინააღმდეგი არ იქნება, „ახალი თაობიდანაც“ დავსვამ რამდენიმე კითხვას.

ბატონმა ბიძინამ ალბათ იცის, რომ 1992 წლიდან აქტიურად ვიყავი ჩაბმული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სამსახურში, ჯერ ინდივიდუალურად, შემდგომ კი – ბატალიონი „მონადირეთი“. შემდეგ გავხდი ამ მიმართულების სარდალი და ერთადერთი ვარ, რომელმაც მოწინააღმდეგესთან ომი არ წავაგე. ტერიტორიების 30% შევუნარჩუნე ჩვენს ქვეყანას.

ომს მოჰყვება თავისი უბედურებები და ადამიანების ბუნებას ააშკარავებს. ჩვენ, კოდორელებს, 1992 წლიდან 2006 წლამდე გვიჭირდა ეკონომიურად, გვიჭირდა გზა და საერთოდ გვიჭირდა. შესაძლოა, ბევრს ეწყინოს, მაგრამ ივანიშვილს ერთი კითხვა უნდა დავუსვა.

– რა უნდა ჰკითხოთ ამისთანა?

– იმ პერიოდისთვის ივანიშვილი, უკვე ოფიციალური მილიარდერი, ქველმოქმედებდა. სამწუხაროდ, მას არც ერთხელ არ უფიქრია, რომ ჩვენ, მის თანამემამულეებს, გვჭირდებოდა მისი მხარდაჭერა. მაინტერესებს, რატომ არ მიიღო მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიების შენარჩუნებაში.

– რა ფორმით უნდა მიეღო მას ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში მონაწილეობა?

– იმ საშუალებებით, რომლებიც მას გააჩნდა. ამ კითხვას მხოლოდ იმიტომ ვსვამ, რომ მისგანაც ბევრჯერ მომისმენია სამშობლოს სიყვარულზე გემრიელად ნათქვამი სიტყვები. ასევე ხშირად ახსენებენ სამშობლოს მისი მომხრეებიც, რომლებიც მაინცდამაინც არ გამოირჩეოდნენ ჩვენი, კოდორელების, მხარდაჭერით.

ივანიშვილი მათ ჩვენი ქვეყნის მხსნელად გამოჰყავთ. პიარ-კამპანია მუშაობს მთელი სიმძლავრით და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ პიარი უნდა ეფუძნებოდეს სიმართლეს, თორემ ტყუილებზე აწყობილი პიარი დაღუპავს ადამიანს. ამას თუ არ მოეშვებიან, საბოლოოდ სააკაშვილივით შეიძულებს ივანიშვილს საქართველოს მოსახლეობა.

მე უმადური კაცი არა ვარ და ვაღიარებ, რომ მას ბევრი საქმე აქვს გაკეთებული. უბრალოდ აშკარაა, რომ მას გამორჩეული ჰყავს ხალხი.

– რას ნიშნავს, გამორჩეული ჰყავს ხალხი?

– ის საზოგადოების ნაწილს გვერდში უდგას, ნაწილს კი აიგნორებს. 2006 წელს გავიხსენებ, მაშინ სააკაშვილ-მერაბიშვილ-ოქრუაშვილი და ნაცბანდა გამოვიდა კონსტიტუციური ჩარჩოებიდან და უხეშად დაესხა თავს კოდორის ხეობას. უცხოეთის სპეცსამსახურებიც კი გამოიყენეს, რათა შემდეგში მოწინააღმდეგისთვის გადაეცათ ჩვენ მიერ 14 წლის ნაცოდვილარნასისხლარ-წვალებით შენარჩუნებული ტერიტორიები.

კითხვა მაქვს ისევ უხერხული ბატონ ბიძინასთან. მაინტერესებს, რატომ ხმა არ ამოიღო მაშინ ჩვენ დასაცავად და რატომ გააგრძელა ნაცებთან თანამშრომლობა კიდევ 5 წელი?

კიდევ ერთი უხერხული შეკითხვა მაქვს მასთან და მეტს აღარც მას შევაწუხებ და აღარც – თქვენს მკითხველს. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებს ივანიშვილის მომხრეები ხშირად ამადლიან საქართველოს მოსახლეობას.

– რას ნიშნავს, ამადლიან?

– ამადლიან, აბა რა არის, გაიძახიან, თავისუფლება მოგიტანეთო. თავისუფლება საქართველომ გაცილებით ადრე მოიპოვა, 2012 წელს მან სააკაშვილი კი მოგვაშორა, მაგრამ მის წინააღმდეგ ჩვენ გაცილებით ადრე დავიწყეთ ბრძოლა.

ისიც მინდა გავახსენო ივანიშვილს, რომ ხელისუფლებაში მოსვლამდე ის ჩემს დაიკოს, ნორას, სააკაშვილის ტყვედ მიიჩნევდა. მაინტერესებს. რატომ დატოვეს ის „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ კიდევ 2 თვე პატიმრობაში. ან მე რატომ ვყავდი წელიწადი და 7 თვე დევნილობაში. ხოლო როდესაც მოვახერხე და თავი დავაღწიე რუსეთს, ჩამოვედი და მისმა სასამართლომ 18 წლით გამამწესა საპყრობილეში. რატომ მოხდა ასე, „ოცნებამ“ ხომ თავისუფლება მოგვიტანა?

მე და ჩემი და სულ ტყუილად ვისხედით ციხეში. ჩვენ გავმართლდით და შეგვეძლო სახელმწიფოსთვის გვეჩივლა, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ იმიტომ, რომ არ გვინდა, ნაციონალების გამო ჩვენს სამშობლოს დავუპირისპირდეთ.

ჩვენ გვჯეროდა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში დავიბრუნებდით წართმეულ სახლს და სხვა ქონებას. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. გამოდის, რომ სააკაშვილთან ერთად ივანიშვილმაც ჩამოგვართვა ქონება.

– ივანიშვილმა რატომ?

– მისი ხელისუფლების პირობებში ვერ მოვახერხეთ სამართლის პოვნა. ვერც იმას მივაღწიეთ, რომ კოდორის ჩაბარების საქმე გამოძიებულიყო. მე მინდოდა მასთან შეხვედრა, მაგრამ მან ამის სურვილი არ გამოთქვა.

სამართალი

ავტოსაგზაო შემთხვევას ნორიოსთან 6 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, შემთხვევა 3 იანვარს თბილისის შემოვლით გზაზე, 25-ე კილომეტრზე მოხდა და ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

დაშავებულია კიდევ ერთი პირი. ის ამჟამად საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ნიუსპრესი

ე.წ. კარვების ქალაქში ორი ადამიანი გარდაიცვალა

ე.წ. კარვების ქალაქის ტერიტორიაზე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, ყინვების პირობებში, ორი ადამიანი გარდაიცვალა.

ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ავრცელებს.

პროგრამა „კურიერი“-ს ცნობით, სოციალური სამსახურის ხელმძღვანელმა განცხადება გააკეთა და განმარტა, რომ გარდაცვლილთაგან ბენეფიციარი მხოლოდ ერთი იყო და თავშერსაფარში გადასვლაზე უარი საკუთარი ნებით თქვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება სამგორის რაიონის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა გააკეთა, რომელიც ადგილზე იმყოფებოდა.

ე.წ. კარვების ქალაქის ტერიტორიაზე ორი ადამიანის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას დეპუტატი ლია ჯახველაძე ადასტურებს.

მისი თქმით, შესაბამისი სამსახურების მხრიდან ამ ტერიტორიაზე დარჩენილი ადამიანების მიმართ ყურადღების გამოჩენაა საჭირო.

ნიუსპრესი

მესაზღვრეებმა თურქეთის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, პირველი სამმართველოს (ბათუმი) პირველი სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ბაირამ ა. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდა.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 19-344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

„არჩევნებში სერიოზული შანსი ექნებათ მარგველაშვილისა და ბურჭულაძის გაერთიანებას“

მარიამ მჭედლიშვილი



ვალერი გელბახიანი: „ღარიბაშვილი საგარეო ფაქტორების გამო გაუშვეს“

ყოფილი დეპუტატი ვალერი გელბახიანი პრემიერ-მინისტრის შეცვლას საგარეო ურთიერთობების სტაბილიზაციის სურვილით ხსნის. მისი აზრით, ღარიბაშვილი უცხოეთში სტაბილურობის განცდას არ ტოვებდა.

– საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბდა აზრი, რომ საქართველოს ახალგაზრდა პრემიერს არ აქვს სტაბილურობის ხელშემწყობი იდეოლოგია, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვალერი გელბახიანმა.

– რის საფუძველზე ჩამოყალიბდა უცხოეთში ასეთი აზრი?

– მათ ჩათვალეს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ხელს არ უწყობდა სახელმწიფო ინსტიტუტების ჰარმონიზაციას. მართლაც, მან რამდენჯერმე ჩაშალა უშიშროების საბჭოს სხდომა. გარდა ამისა, იგი აბრკოლებდა პრეზიდენტის მონაწილეობას იმ საერთაშორისო ფორუმებში, სადაც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი. ასეთ პირობებში პრემიერი ვერ იქნებოდა კონსტიტუციური სტაბილურობის გარანტი. დადგა მისი შეცვლის საჭიროება. ღარიბაშვილი შეიცვალა კვირიკაშვილით, რომელსაც პოლიტიკური გამოცდილება აქვს. გარდა ამისა, ის გაწონასწორებული ადამიანია.

– მიუხედავად იმისა, რომ გიორგი კვირიკაშვილი დეპუტატიც იყო, მას პოლიტიკაში არ უაქტიურია. ახლა კი მას ტექნიკურ პრემიერ-მინისტრს უწოდებენ.

– ასეთი შეფასებები მართლაც კეთდება. ამაზე შემიძლია ვთქვა, რომ გიორგი კვირიკაშვილიც ვერ იქნება დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა. მისი დამოუკიდებლობის ხარისხი შეზღუდულია, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად ძალიან მაღალი თანამდებობა უკავია. ქვეყანაში ყველაფერს მართავს პირი, რომელიც არ არის ხელისუფლებაში და გარედან მიჰყავს პროცესები.

– ანუ, ამ ცვლილებით „ქართული ოცნება“ საკუთარ მოსახლეობას იმედს ვერ გაუჩენს?

– მოსახლეობა რომ მოაბრუნონ, ამისთვის კვირიკაშვილს სერიოზული ანალიტიკური სამუშაოს გაწევა მოუწევს. ბიუჯეტი უკვე მიღებულია. სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე ხედვა რომ წარმოადგინოს, ამის განხორციელება არჩევნების შემდეგ მოუწევს. რა პროგრამაც არ უნდა წარმოადგინოს, ეს იქნება დაპირება. „ოცნების“ დაპირებების მიმართ კი ხალხს უკვე ჩამოუყალიბდა დამოკიდებულება.

– მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნება“ მთავარ პოლიტიკურ ძალად რჩება.

– სანამ ახალი კონსტრუქციები არ დალაგებულა, უპირატესობა ივანიშვილის მხარესაა, თუმცა, ნდობა ძალიან შეუმცირდა. ახალი გაერთიანებების შექმნის შემდეგ ივანიშვილის კოალიციის შანსები შემცირდება.

– რომელ გაერთიანებებს გულისხმობთ?

– ძალიან სერიოზული იქნება გაერთიანება, რომელსაც პრეზიდენტი დაუჭერს მხარს და გაუერთიანდება. ვგულისხმობ იმ პარტიას, რომელსაც პაატა ბურჭულაძე ჩაუდგება სათავეში. გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს „ქართულ ოცნებას“. გამოდის, რომ იგი მხარს დაუჭერს სხვა ძალას. თუ მარგველაშვილ-ბურჭულაძის გვერდით კიდევ რომელიმე ძალა დადგა, მაშინ მათი შანსები ისე ძლიერდება, რომ შეიძლება არჩევნები უპირატესობით მოიგონ.

– სხვა ბლოკებიც ხომ შეიქმნება?

– ბუნებრივია. ვფიქრობ, რომ ჩერნოვეცკი თავის რესურსებს კოალიციას მოახმარს. შესაძლოა, ის გაერთიანდეს ბურჯანაძესთან. მმართველი კოალიციიდან მოსალოდნელია ეროვნული ფორუმის გამოსვლა. არაა გამორიცხული, რომ ფორუმი ჩერნოვეცკი-ბურჯანაძესთან გაერთიანდეს.

– არიან სხვა ძალებიც.

– რა თქმა უნდა. საარჩევნოდ სრულ მობილიზაციას გამოაცხადებენ ნაცმოძრაობა, ლეიბორისტული პარტია, პატრიოტთა ალიანსი. 2016 წლის არჩევნებისათვის ბრძოლა დაახლოებით 7-სუბიექტიან კონკურენტულ გარემოში წარიმართება.

დავით ზალკალიანი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ ბრუნდება

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს საგარეო უწყებაში ცვლილებაა. საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ზალკალიანი თავის თანამდებობას უბრუნდება. ეს შეთავაზება მან პრემიერ გიორგი კვირიკაშვილისგან მიიღო. ზალკალიანი მინისტრის მოადგილეობას 11 იანვრიდან შეუდგება.

მინისტრის მოადგილის პოსტი მან 2014 წლის შემოდგომაზე დატოვა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც თავდაცვის მინისტრის პოსტიდან ირაკლი ალასანია გააგდეს. თავისუფალმა დემოკრატებმა პროტესტის ნიშნად კოალიცია დატოვეს. თანამდებობიდან წავიდნენ ალასანიას მინისტრებიც. დავით ზალკალიანმა საგარეო უწყება მაია ფანჯიკიძესთან ერთად დატოვა.

რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თავისუფალი დემოკრატებიდან რამდენიმე წევრი წამოსვლას აპირებდა. წამომსვლელთა შორის ზალკალიანიც დასახელდა. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი იმით იყვნენ განაწყენებული, რომ ალასანია ნაციონალებთან ნელთბილ დამოკიდებულებაში იყო.

თავიდან ზალკალიანმა პარტიიდან წასვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო. ცოტა ხანში კი ის მართლაც წამოვიდა პარტიიდან და ლევან მიქელაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდს ჩაუდგა სათავეში. აღსანიშნავია, რომ ეს ფონდიც თავისუფალ დემოკრატებთან არის დაკავშირებული.

საგარეო უწყებაში თავისიანის დაბრუნებას გაგებით მოეკიდნენ თავისუფალი დემოკრატები.

– პრემიერმა შესთავაზა მას ეს თანამდებობა. ვფიქრობ, ახალი პრემიერის ეს ნაბიჯი გვიჩვენებს, რომ ის ორიენტირებულია პროფესიონალ კადრებზე, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ვიქტორ დოლიძემ.

ამ საკადრო გადაადგილებას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვება და კიდევ უფრო გაღრმავდება ეჭვი იმის შესახებ, რომ თავისუფალი დემოკრატები შესაძლოა კოალიციაში ნაწილ-ნაწილ დაბრუნდნენ.

მათ შორის დათბობის ტენდენცია აშკარად თვალშისაცემია. ირაკლი ალასანიამ პირობა დადო, რომ 100 დღე ახალ პრემიერს და ძველ მთავრობას არ გააკრიტიკებდნენ.

კოალიციაში თავისუფალი დემოკრატების ამ განცხადებას დადებითად შეხვდნენ და მათზე ახლა ყველა ფრთხილად საუბრობს. ისე, ბოლო დროს თავისუფალი დემოკრატებიც დაშაქრდნენ და ალასანიაც კი აღარ ლანძღავს ივანიშვილს.

ამ დათბობის პირველი შედეგი უკვე სახეზეა. თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი წევრი მთავრობაში უკვე დაბრუნდა, თანაც თავის ძველ ადგილზე. და ივანიშვილის უცნაურ ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, ერთ დღესაც შესაძლოა ალასანია თავდაცვის მინისტრად დაინიშნოს.

მთის კანონი შიდა ქართლის 97 სოფელზე გავრცელდება

2016 წლის იანვრიდან მთის კანონი ამოქმედდა. ამ კანონით მაღალმთიანი სოფლების ნაწილს, რომელიც ზღვის დონიდან 800 მეტრიდან ზევით მდებარეობს, სოციალური და საგადასახადო შეღავათი დაუწესდა. საქართველოში შეღავათები 1.580-ზე მეტ სოფელს შეეხო, აქედან 97 მაღალმთიანი სოფელი შიდა ქართლშია.

ამ სოფლებში 8.399 ადამიანი ცხოვრობს. შეღავათებს ოჯახები პირველ და მეორე შვილზე ერთი წლის განმავლობაში 100, შემდეგ შვილზე 200 ლარიან დახმარებას მიიღებენ.

ყოველთვიურ დანამატს, 180 ლარს მიიღებენ პედაგოგები და ექთნები, ექიმებს კი ხელფასი 360 ლარით გაეზრდებათ. 20%-ით მოიმატებს მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები პენსიონერების პენსიაც.

შეღავათებით ისარგებლებს ყველა ის ოჯახი, რომელიც მაღალმთიან სოფელში 9 თვეზე მეტია ცხოვრობს, ახლად დასახლებულებისთვის კი იგივე შეღავათები 9 თვის შემდეგ ამოქმედდება.

ქართლი.გე

ახალშობილთა სტატისტიკა შიდა ქართლში

2016 წლის პირველ იანვარს გორის სამედიცინო კლინიკა „იავნანაში“ დაბადებული ახალშობილი ვაჟია.

ამის შესახებ ინფორმაცია შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს „იავნანას“ ადმინისტრაციიდან აცნობეს.

პირველი ახალშობილი 3 კგ-ია, ხოლო სიმაღლე – 0.51 მ.

გასულ 2015 წელს გორის სამშობიარო კლინიკაში 1150 ბავშვი დაიბადა.

რაც შეეხება ექიმ ჯუმბერ გოგიაშვილის კლინიკას, აქ ახალი წლის ღამეს ერთ ბიჭი დაიბადა, ხოლო მთლიანად 2015 წლის განმავლობაში კი 800 ბავშვი.

კასპის „მედალფაში“ პირველი ახალშობილი 4 იანვარს დაიბადა. გასულ 2015 წელს ჯამში 230 ბავშვი დაიბადა.

ხაშურის საავადმყოფოში კი ერთი ახალშობილი დაიბადა.

მთლიანად სტატისტიკური მონაცემებით გორში, კასპსა და ხაშურში 2015 განმავლობაში სულ 2.736 ბავშვი დაიბადა.

ქართლი.გე

ოზურგეთში გაუჩინარებული გოგონა თბილისში იპოვეს

30 დეკემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან გაუჩინარებული 22 წლის მაგდანა კოჩალიძე თბილისში, ნათესავების სახლში იპოვეს. ამის შესახებ მედიანიუსს მაგდანა კოჩალიძის ძმამ განუცხადა. დავით კოჩალიძე დის საძებნელად თბილისში მიდიოდა, როცა დის გამოჩენა აცნობეს.

– თვითმხილველები მიკავშირდებოდნენ და მეუბნებოდნენ, რომ მაგდანა მეტროში ნახეს. ახლა ჩამოვედი თბილისში და შემატყობინეს, რომ მაგდანა ნათესავების სახლშია, – ამბობს დავით კოჩალიძე.

მაგდანა კოჩალიძეს ერთი კვირაა ეძებენ, იგი 30 დეკემბერს სახლიდან გავიდა და მას შემდეგ ოჯახი მასთან დაკავშირებას ვერ ახერხებდა. გოგონას სამართალდამცველები ეძებდნენ.

მედიანიუსი

გოჩა ჯამარაული გარდაბნის გამგებლის კანდიდატად ოფიციალურად წარადგინეს

ყოფილი ფეხბურთელი გოჩა ჯამარაული „ქართული ოცნების“ სახელით გარდაბნის გამგებლის კანდიდატად ოფიციალურად წარადგინეს.

საოლქო ორგანიზაციების კონფერენცია გარდაბანში პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კალაძემ და „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ გახსნეს.

– ვფიქრობ, ეს წარმატებული ბიზნესმენი და მენეჯერია. რაც მთავარია, პატიოსანი, ღირსეული ადამიანია თავისი განვლილი ცხოვრებით, აწმყოთი და მთლიან გუნდთან ერთად გარდაბნის რაიონის საკეთილდღეოდ ყველაფერს გავაკეთებთ, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მედიანიუსი

ხანძარს კასპში ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

კასპის რაიონის სოფელ ლამისყანაში ხანძრის შედეგად 55 წლის ქალბატონი გარდაიცვალა. ცეცხლი საცხოვრებელ სახლს ღამით გაუჩნდა.

გარდაცვლილი ქალბატონი იმ დროს სახლში მარტო იმყოფებოდა. მეზობლების თქმით, შენობას ცეცხლი სავარაუდოდ, შეშის ღუმელიდან მოეკიდა. თუმცა, ხანძრის გაჩენის მიზეზებს გამოძიება სწავლობს.

როგორც „ნიუსპრესს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 116-ე მუხლითაა აღძრული, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

„ეროვნული ბანკის ახალმა პრეზიდენტმა კრედიტების პროცენტი უნდა შეამციროს“

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებისა და ახალი პრეზიდენტის კანდიდატურების შერჩევა დაიწყო. შერჩევის პროცესში მარგველაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციებს ხვდება.

ორგანიზაცია „20/30“-ის წევრ მიხეილ დონდუას განცხადებით, პრეზიდენტმა კონსულტაციები პირველ რიგში პარლამენტის თავმჯდომარესა და უმრავლესობასთან უნდა გამართოს.

მიხეილ დონდუა: „მოსახლეობის მესამედი შემოსავლების დიდ ნაწილს სესხების მომსახურებაზე ხარჯავს“

გულიკო ბალაძე

– პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის გამართული კონსულტაციების შედეგად შერჩეულ პირებთან დაკავშირებით შეიძლება კონსულტაციები არასამთავრობო სექტორთან და საზოგადოებასთან, რომ უკვე შეთანხმებულ კანდიდატებზე დააფიქსირონ თავისი აზრი და კიდევ უფრო უკეთესები შეირჩნენ. პროცესი სწორად უნდა წარიმართოს, – აცხადებს მიხეილ დონდუა „ახალ თაობასთან“ საუბარში.

– ბატონო მიხეილ, თქვენ ეჭვი გაგიჩნდათ, რომ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებისა და ახალი პრეზიდენტის კანდიდატურებს პრეზიდენტი მესამე ძალასთან ათანხმებს და პროცესი სწორად არ მიმდინარეობს?

– არა, მე ვსაუბრობ პროცედურულ მხარეზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს კანდიდატურების შერჩევის პროცესი. კარგია, რომ პრეზიდენტი არასამთავრობო ორგანიზაციებს ხვდება, მაგრამ პარლამენტთან კონსულტაციით უნდა დაიწყოს. როცა პარლამენტი და პრეზიდენტი სავარაუდო კანდიდატებზე შეთანხმდებიან, შერჩეულ რამდენიმე კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება იყოს დისკუსია არასამთავრობო სექტორთანაც.

– თუ პრეზიდენტი პარლამენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეარჩევს კანდიდატურებს?

– თუ კანდიდატურების წინასწარი შერჩევის პროცესში პარლამენტს გამოვრიცხავთ, ეს სწორი პროცესი არ იქნება. პასუხისმგებელი პირი, ვინც ხმა უნდა მისცეს და დაამტკიცოს ეროვნული ბანკის საბჭოს კანდიდატები, საქართველოს პარლამენტია.

– ახლა მხოლოდ საბჭოს წევრების შერჩევის საკითხი დგას, თუ მათთან ერთად შეირჩევა ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატი?

– ახლა საბჭოს წევრების შერჩევის საკითხი დგას, რომელიც საბოლოო ჯამში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შერჩევის პროცესში გადაიზრდება.

– როდესაც ღარიბაშვილი გადადგა, მაშინ ითქვა, რომ შესაძლოა ის გვეხილა ეროვნული ბანკის პრეზიდენტად. ახლა რაიმე მსგავსი ხდება?

– ამასთან დაკავშირებით მითქმა-მოთქმაც არ გამიგია. თავდაპირველად ერთი-ორი ფრაზა ითქვა, მაგრამ შემდეგ არც ღარიბაშვილს გაუკეთებია რაიმე განცხადება და არც უმრავლესობას და არც არავის. ეს საკითხი არც არსად განუხილავთ.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე ხელისუფლებას თავისი კანდიდატურა ჰყავს?

– არ ვიცი. ეს, ალბათ, დიალოგის პროცესში გამოჩნდება. რადგან პრეზიდენტმა უნდა წარუდგინოს კანდიდატები პარლამენტს დასამტკიცებლად, პრეზიდენტმა უნდა გამართოს დისკუსია.

– პრეზიდენტს კანდიდატურები ვინ უნდა წარუდგინოს, თვითონ უნდა შეარჩიოს?

– პრეზიდენტი კანდიდატურებს თვითონ არჩევს. ოღონდ, კანდიდატურების შერჩევის დროს პირველი რიგის კონსულტანტი პარლამენტი უნდა იყოს.

– საერთოდ, ვინ წარმოგიდგენიათ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე?

– კანდიდატებზე ვერაფერს გეტყვით. მე შემიძლია წარმოგიდგინოთ კორესპონდენცია, თუ რა პრინციპებს უნდა იზიარებდეს კანდიდატი, რომ იყოს მხარდაჭერილი.

როდესაც ვმართავთ დიალოგს კანდიდატურებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, საჭიროა წარიმართოს დიალოგი იმ ხედვასთან დაკავშირებით, რაც უნდა განახორციელონ ეროვნულმა ბანკმა და მისმა პრეზიდენტმა მომდევნო წლებში, რაზეც უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ეროვნული ბანკის საბჭომ და, შესაბამისად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

– ახლა ამ საკითხებზე არ საუბრობენ?

– არა. როდესაც ამ საკითხებზე არ მიმდინარეობს სჯა-ბაასი, პრეზიდენტი იმ საკითხებზე არ მართავს დიალოგს, თუ როგორი უნდა იყოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა 2016 და შემდგომ წლებში, რა უნდა გაკეთდეს, ამ ნიშნებით არ ხდება კანდიდატურების შერჩევა, ვინ იზიარებს და ვინ არა ამ პრინციპებს, სწორი და სრული პროცესი არ არის.

– როგორი უნდა იყოს ეროვნული ბანკი პრეზიდენტი?

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა უნდა დაიცვას სავალუტო ფონდის ის რეკომენდაციები, რომლებიც მოუწოდებს, გააჯანსაღოს ფულად-საკრედიტო საკითხები, რომელიც ეხება, მაგალითად, დაკრედიტების არსებულ მავნე პრაქტიკას.

– კონკრეტულად, რა მავნე პრაქტიკაზე საუბრობთ?

– მოსახლეობის ერთ მესამედს თავისი შემოსავლების დიდი ნაწილის სესხების მომსახურებაზე დახარჯვა უწევს.

სავალუტო ფონდი მოუწოდებს ეროვნულ ბანკს, ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გაატაროს, რომ მოსახლეობას თავისი შემოსავლის უმცირესი ნაწილის გადახდა მოუწიოს ვალის მომსახურებაზე.

ეს ეკონომიკის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს და მოსახლეობასაც პრობლემას მოუხსნის. ვინც ამ რეკომენდაციებს გაიზიარებს და პასუხისმგებლობას აიღებს, ის უნდა იქნას არჩეული ეროვნული ბანკის საბჭოში და პრეზიდენტად.

– ეროვნული ბანკის ახლანდელმა პრეზიდენტმა თავისი პოლიტიკით ქვეყანა დააზარალა?

– დიახ, დააზარალა.

– რამდენად დააზარალა? გამოსწორება შესაძლებელია?

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია პოლიტიკის შეცვლით. პირველ რიგში, მაქსიმალური სტიმული უნდა მიეცეს ადგილობრივი ეკონომიკის დაკრედიტებას და მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ისეთი სამომხმარებლო სესხები, რომლებიც მოსახლეობის გაღატაკებას განაპირობებს, ლარის კურსს საფრთხეს უქმნის, ეკონომიკას კი არაფერს მატებს.

– ეროვნული ბანკის მომავალ პრეზიდენტს ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკის შედეგების ლიკვიდაციაზე მუშაობა მოუწევს?

– რა თქმა უნდა. მას უნდა ჰქონდეს სისტემური ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ რის გაკეთება უნდა. სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა მიიღოს პრეზიდენტმა გადაწყვეტილება, მოიწონოს თუ არა ესა თუ ის კანდიდატი.

ხომ უნდა ვიცოდეთ, რა აქვს გუნებაში იმ პირს, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე მოხვდება? ამიტომაც კანდიდატების შერჩევა ფეისკონტროლით კი არ უნდა მოხდეს, არამედ მათი ხედვების საფუძველზე, რაც უნდა გახდეს პოლემიკისა და დიალოგის საგანი.

– ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფა დღის წესრიგში ისევ იდგება?

– საკონსტიტუციო სასამართლომ მისი მოქმედება შეაჩერა, საკითხი განხილვის პროცესშია. სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება ან მისი უფლებამოსილების გაგრძელებაზე, ან შეჩერებაზე.

– ძირითადად ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფის იდეა წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ვერ მოხერხდა ნორმალური კომუნიკაცია ქადაგიძესთან. თუკი ქადაგიძე წავა და პრობლემაც აღარ იქნება, მაშინ რატომღა იქნება საჭირო ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფა?

– ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფა გადაწყვეტილი საკითხია. ისეთი საკანონმდებლო ნორმებია მიღებული, რომ ქვეყნის ეკონომიკას არანაირ პრობლემას არ შეუქმნის. პირიქით, ანგარიშვალდებულება არის გაზრდილი საზოგადოებისა და პარლამენტის წინაშე. უფრო მეტი გამჭვირვალობის, ძალიან მაღალი კონტროლისა და მონიტორინგის საშუალება იქნება.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის არჩევის გაჭიანურებაში ლოგიკა არ არის

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტის არჩევის პროცესის წლის ბოლომდე გაჭიანურების შესაძლო სცენარში ლოგიკას ვერ ხედავს.

როგორც აბაშიშვილმა შესაბამის მოსაზრებაზე კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, ის გამორიცხავს, რომ პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატთან დაკავშირებით პარლამენტის მხრიდან წინასწარი უარყოფითი განზრახვა არსებობდეს.

– ცხადია, პარლამენტი იმსჯელებს ამ საკითხზე და მივესალმებით კანდიდატურასთან დაკავშირებით კვალიფიციურ დისკუსიას, მაგრამ არდამტკიცება არც პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე და არც ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით არ იქნება და ვერ იქნება გამართლებული, რადგან ამ შემთხვევაში, ჩვენ ძალიან სერიოზული რისკის ქვეშ დავაყენებთ ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, – განაცხადა აბაშიშვილმა.

მისივე განმარტებით, საქართველოს ეკონომიკა სერიოზული გამოწვევების წინაშეა, რისი გათვალისწინებითაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ ბანკს ჰყავდეს ახალი ხელმძღვანელი.

არასამთავრობო სექტორის ერთი ნაწილის აზრით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე გიორგი ქადაგიძის შემცვლელის არჩევა შესაძლოა წლის ბოლომდე გაჭიანურდეს.

პროცესის აღნიშნული სცენარით განვითარებას არ გამორიცხავს მმართველი გუნდის ზოგიერთი წევრი, მათ შორის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური. როგორც მეჭიაურმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, „ლოგიკას მოკლებული სცენარი არ არის, ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტის არჩევა წლის ბოლომდე გადავადდეს, როდესაც ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობა განახლდება“.

ილია ელოშვილი: „თუ ირანიდან მივიღებთ გაზს, ტრანზიტის გადახდა მოგვიწევს გაზპრომისთვის“

ირანული გაზის შემოტანის შემთხვევაში, საქართველოს ფინანსური ვალდებულებები გაზპრომთან ექნება,

ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილმა ჟურნალისტებს ბათუმში განუცხადა. მისი განმარტებით, ირანული გაზის შემოტანა მხოლოდ სომხეთის გავლით არის შესაძლებელი, სადაც მილსადენს გაზპრომის შვილობილი კომპანია ფლობს და ფინანსური ვალდებულებებიც გაზპრომთან ექნება.

მინისტრის მოადგილის თქმით, ქვეყანას ენერგომომარაგების სამი წყარო აქვს და მისთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი უნდა გამოიყენოს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას კი გათვალისწინებული იქნება როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მდგომარეობა.

– საქართველოს საშუალება აქვს, ბუნებრივი აირი მიიღოს აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და ირანიდან. ჩვენ სამივე ქვეყანასთან უნდა გვქონდეს გახსნილი მოლაპარაკებები და უნდა გამოვიდეთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან. რაც იქნება მიზანშეწონილი, გონივრული ჩვენი ეკონომიკისთვის, რაც არ დააზიანებს ურთიერთობებს ჩვენს გრძელვადიან პარტნიორებთან, ამ სამეულიდან უნდა მოხდეს გადაწყვეტილება.

არ უნდა გავხდეთ დამოკიდებული რომელიმე ერთ წყაროზე. ენერგოდამოკიდებულება, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყანა იქნება, არ არის მიზანშეწონილი. რაც უფრო დივერსიფიცირებულია, მით უკეთესი. სამინისტრო გაძლევთ პირობას, ჩვენ ისეთს არაფერს გავაკეთებთ, რაც საფრთხეს შეუქმნის ჩვენს ეკონომიკას და პოლიტიკურ მდგომარეობას, – აღნიშნა ილია ელოშვილმა.

20, 50 და 100 ლარის განახლებული ბანკნოტები თებერვლიდან გამოვა

20, 50 და 100 ლარის განახლებული ბანკნოტები მიმოქცევაში თებერვლიდან გამოვა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ეროვნულ ბანკში განუცხადეს.

განახლებული ბანკნოტები ეტაპობრივად გამოვა და მიმოქცევაში წინა ემისიების ბანკნოტებთან ერთად იქნება.

ლარის განახლებული ბანკნოტების გამოშვების საკითხზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ პრეზენტაცია 3 ნოემბერს გამართა.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, განახლებული ბანკნოტების დიზაინის ავტორი ბაჩა მალაზონიაა, თუმცა ესკიზების სრულყოფის პროცესში მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი კომპანიები გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ინგლისიდან.

– ლარის განახლებულ ბანკნოტებზე შენარჩუნებულია კარგად ნაცნობი, ლარის ბანკნოტების თავდაპირველი თემატიკა, ამავდროულად ბანკნოტებზე წარმოდგენილი ისტორიები გამრავალფეროვნებულია ცალკეული ახალი ელემენტებით, – განაცხადეს ეროვნულ ბანკში.

განახლებული დიზაინი კიდევ უფრო მეტი სიზუსტით და თანამედროვე იერსახით წარმოაჩენს საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას.

– ლარის განახლებულ ბანკნოტებს ახასიათებს მკვეთრად გამორჩეული ფერების სპექტრი, რომელიც ჰარმონიულად არის შეხამებული ძირითადი სიუჟეტების დომინანტურ და კონტრასტულ ფერებთან, – განაცხადეს ეროვნულ ბანკში.

კოვზანაძე ხელფასს ითხოვს

საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარე და წევრები საშუშაო პირობების შექმნასა და ხელფასის დანიშვნას ითხოვენ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წარმომადგენლები, რომელთაც საქმიანობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აქვთ შეზღუდული, ხელფასის დანიშვნას და მუშაობისთვის საჭირო პირობების შექმნას ითხოვენ.

მათ შესაბამისი წერილით, რომელიც 30 ნოემბრით თარიღდება, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს მიმართეს.

– როგორც მოგეხსენებათ, 2015 წლის სექტემბერში, პარლამენტის მიერ დამტკიცდა სსიპ „საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს“ საბჭოს შემადგენლობა, საბჭოს თავმჯდომარე და სააგენტოს უფროსი. სააგენტო დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას და მოახდინა: 1) სააგენტოს დებულების 2) საშტატო ნუსხის 3) სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურის და 4) სააგენტოს 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცება. სააგენტოს ხსენებეულ სხდომაზე, საბჭოს წევრის სტატუსით მონაწილეობას იღებდა ეროვნული ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მიმდინარე წლის ოქტომბერში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააგენტოს საბჭოსა და სააგენტოს უფროსს უფლებამოსილება შეეზღუდათ გარკვეული ოპერაციების წარმართვისათვის, მაგრამ მთელ რიგ საკითხებზე მუშაობის უფლება კვლავ ძალაშია.

შესაბამისად, სააგენტოს მუშაობისთვის საჭირო აუცილებელი პირობები (სამუშაო შენობა, კომპიუტერული ტექნიკა, სახელფასო ბიუჯეტი და სხვა) რაც კანონის მიხედვით ეროვნული ბანკის მიერ უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი ამ ეტაპზე არ შესრულებულა. ასევე არ არის განსაზღვრული სააგენტოს საბჭოს წევრების სარგო.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამისს კომიტეტს კანონის შესრულების მონიტორინგის განხორციელება, – ნათქვამია დავით უსუფაშვილისადმი გამოგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს საფინანსო ზედამხდეველობის სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე და საბჭოს წევრები: ტერნესი, ურუმაშვილი და გალდავა აწერენ.

ეროვნული ბანკი საფინანსო მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ აპირებს

ეროვნული ბანკი საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წარმომადგენლების მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ აპირებს ეროვნული ბანკი საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წარმომადგენლების მოთხოვნას პასუხობს.

მუშაობისთვის საჭირო პირობების შექმნისა და ხელფასის დანიშვის თაობაზე საბჭოს წარმომადგენლების მოთხოვნის საპასუხოდ ეროვნული ბანკი განცხადებას ავრცელებს, რომელშიც განმარტავს, რომ „არამიზნობრივი და არაკანონიერი იქნებოდა მათი ბიუჯეტიდან ასეთი ხარჯის გაწევა“.

– საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2015 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, შესაძლო რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, შეაჩერა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს საქმიანობა და სააგენტოს აპარატის ფორმირება და ფუნქციონირება საკონსტიტუციო დავის დასრულებამდე.

ამ პერიოდში კი საფინანსო სექტორზე ზედამხედველობის ფუნქცია ერთმნიშვნელოვნად ისევ ეროვნულ ბანკს დაეკისრა.

შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საფინანსო სექტორის რეგულირებას კვლავ ეროვნული ბანკი ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს საბჭოს მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხის მიხედვით, ამჟამად ეროვნული ბანკის ფარგლებში საზედამხედველო ფუნქციაზე პასუხისმგებელ თანამშრომელთა ოდენობასთან შედარებით 67 ერთეულით იზრდება სააგენტოს აპარატის თანამშრომელთა რიცხვი, ხოლო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სააგენტოს, არსებულ ბიუჯეტთან შედარებით, ადმინისტრაციული ხარჯებისთვის 10 მილიონი ლარით მეტის დახარჯვა აქვს დაგეგმილი.

ეროვნული ბანკი ცალსახად აცხადებს, რომ არამიზნობრივი და არაკანონიერი იქნებოდა ჩვენი ბიუჯეტიდან ასეთი ხარჯის გაწევა, მით უფრო, რომ სააგენტო რეალურად არ ფუნქციონირებს და საფინანსო სფეროს ზედამხედველობის ფუნქციას კვლავ ეროვნული ბანკი ასრულებს, – ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

ავღანეთში კიდევ ერთი ასეული მიემგზავრება

საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის – „ბრავო“ ასეული ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შესასრულებლად მიემგზავრება. სამხედროების გაცილების ცერემონიალი ვაზიანში IV მექანიზირებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე გაიმართა.

ასეულის პირად შემადგენლობას თავდაცვის მინისტრმა და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ მიმართეს და საპასუხისმგებლო მისიის წარმატებით შესრულება უსურვეს.

– მორიგი როტაცია გვაქვს იანვარ-თებერვლის განმავლობაში. ჩვენი სამხედროების ეს კონკრეტული ასეული მაზარ-ი-შარიფში მიემგზავრება. სამხედროებს წარმატება მინდა ვუსურვო და რაც ყველაზე მთავარია, მშვიდობით დაბრუნება. ისევე ამაყად ეტარებინოთ საქართველოს დროშა, როგორც ყველა იმ კონტინგენტს, რომელიც მანამდე იმყოფებოდა მისიებში საქართველოს სახელით. ეს ბიჭები არიან ჩვენი მთავარი იმედი, ჩვენი ქვეყნის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და დარწმუნებული ვარ, რომ მათი მისიაც ისეთივე წარმატებული და საამაყო იქნება, როგორც ყველა მათი წინამორბედის, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

გენერალ-მაიორ ვახტანგ კაპანაძის განცხადებით, ქვედანაყოფმა საფუძვლიანი მომზადება გაიარა და მზად არის, მასზე დაკისრებული ამოცანები შეასრულოს.

– მისია რთულია, მაგრამ ჩვენს დანაყოფს გააჩნია ყველა უნარი მის შესასრულებლად. დანაყოფს ჰყავს გამოცდილი მეთაურები, უნარიანი სერჟანტები, თვითონ მებრძოლებიც არიან ავღანეთის რამდენიმეგზის ვეტერანები. ისინი საკმაოდ კარგად მოემზადნენ გერმანიაში და გერმანულ დანაყოფთან ერთად იქნებიან მაზარ-ი-შარიფში. დიდი იმედი გვაქვს, რომ წარმატებული მისია ექნებათ და ქართულ სახელს, ქართველი მებრძოლის სტატუსს, კიდევ უფრო უფრო მაღლა ასწევენ, – აღნიშნა გენერალ-მაიორმა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის „ბრავო“ ასეული „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის ფარგლებში ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, მაზარ-ი-შარიფში შვიდ თვეს დაჰყოფს. ქართველი სამხედროები გერმანიის კონტინგენტის დაქვემდებარებაში სწრაფი რეაგირების ამოცანებს შეასრულებენ. „ბრავო“ ასეული ავღანეთში III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის „ალფა“ ასეულს ჩაანაცვლებს.

ქართველმა სამხედროებმა გადასროლისწინა მომზადება უკვე დაასრულეს. მათ საქართველოში 13-კვირიანი წვრთნა, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, „ვილდფლეკენისა“ და „ჰამელბურგის“ სამხედრო ბაზებზე, ხუთთვიანი სწავლება გაიარეს. ასეულის პირად შემადგენლობას, გერმანელი ინსტრუქტორების მეთვალყურეობით, ბუნდესვერის სამხედროებთან ერთად ინდივიდუალური, ოცეულის, ასეულის დონის კომბინირებული და სიტუაციური წვრთნები ჩაუტარდა. სამხედროების მომზადების დონე და საბრძოლო მზადყოფნა, კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად, გერმანელმა ინსტრუქტორებმა დადებითად შეაფასეს.

ნიუსპრესი

რას გვიქადის მერმისი

დრო ულმობლად სწრაფად მირბის. წამი წუთს ცვლის, აზრი აზრს, გრძნობა გრძნობას, ფიქრი ფიქრს. ასე იცვლება დღენიადაგ ცხოვრების რიტმი, რომელსაც ფეხი უნდა ავუწყოთ, უნდა მივდიოთ, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი სახეობრივი ენა, რომელიც ფარნავაზისეული ქართული ანბანით, დავით აღმაშენებლის ნამღერი „გალობანი სინანულისანი“, არსუკიძის მარჯვენით, ცოტნე დადიანის სხეულზე აღბეჭდილი თაფლით, სულხან-საბას ქართულ-ფრანგული ვიზიტით, ვახტანგ VI-ის იმ სტამბით, რომლის კედლები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებით აივსო. ტატო ბარათაშვილის იმ მერანმა, რომლის გაქროლვამ გზა გაუკვლია ქართველ ერს უკეთესი მერმისისაკენ; ვაჟას „არწივის“ იმ სისხლის წვეთმა, რომელმაც ქართველი მტერთან საბრძოლველად განაწყო; თევდორეს იმ ნაბიჯმა, რომელმაც მტერი დააბნია; დავით მაჩაბლის იმ სიმღერამ, ომის მრისხანება რომ დაამარცხა; პატარა კახის მოქნეული ხმლის ძალამ, გათათრების წინააღმდეგ რომ აღმართა; ვახტანგ გორგასლის მუზარადმა, მტერი რომ უკუაგდო; გიორგი V-ის იმ ძალისხმევამ, საქართველოს სულიერების გზა რომ გაუხსნა სინას მთისაკენ და ქართველებმა გიორგი ბრწყინვალე უწოდეს. ექვთიმეს ღვთაებრივმა გვირგვინმა, საქართველოს რომ დაადგა საბედნიეროდ; თამარის სიბრძნემ, საქართველო რომ დაამშვენა ოქროსფერი მოსასხამით; ბექა და ბეშქენ ოპიზრების იმ ნაჭედმა ჩუქურთმამ, ქართველის ხელი რომ დაასტატა ოქრომჭედლობაში. ილიას შუბლში მოხვედრილმა ტყვიამ, რომელსაც ეწერა: „მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა“; იოანე ზოსიმეს იმ კალამმა, ხოტბა რომ შეასხა ქართულ ენას; დავითიანის იმ რჩევამ, სწავლა-განათლებას ფილოსოფიურ-ესტეტიკური კატეგორია რომ მიანიჭა „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“; აკაკის ქნარმა, ჩონგურს რომ ათქმევინა „ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო“; ბესიკის ტრფობამ, ანბანთქების მერვე ბგერა რომ ააჟღერა ანა ბატონიშვილისადმი მიძღვნილი „თანთურანი ინერანთ სიცხოვლით დაგიწვავს შენა“. ალბათ ეს ის სიცხოველეა, ქართველს დედის ნანასავით რომ ჩაესმის „ყანისმკური“, „ოდოია“, „ხასანბეგურა“, „მრავალჟამიერი“, ძველი ქართული საგალობელი „მსწრაფლგანუხვენ“, რომელიც ანაზდეულად დედა ღვთისმშობლის ძლევამოსილებით იმოსება. ძველ ქართულ ხელნაწერებშია, სიგელ-გუჯრებშია დავანებული სულიერი სიმტკიცე, რომლისკენაც უფალი მოგვიწოდებს „გადაგარჩინოს რწმენამან შენმან“, მარტო რად ღირს ტბეთის, მოქვის სახარება. ეს ის რწმენაა, ქეთევან დედოფალს ურყეობა რომ ასწავლა, ღვთიერობა აგრძნობინა, დიმიტრი ყიფიანის ტვინი ქართველი ერის მრწამსს წმინდა მანანასავით ეპკურა, ალ. ჭავჭავაძის რომანტიზმი მე-19 საუკუნეს წინანდლის ვარდივით ასულდგმულებდა. გრიგოლ ორბელიანის სამხედრო ჩინი მისი პოეტური ნაყოფის ჯავშნად იქცა. იაკობის ქართლურმა ნებისყოფამ მე-19 საუკუნეს „დედა ენა“ უსახსოვრა, რომელიც ქართული ცნობიერების, ჯიშიანობის, ზნეობის ბურჯად იქცა. ალ. ყაზბეგის ხევისბერობამ ქართველს შეუდრეკელობა ჩამოუყალიბა, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულობამ მთელი სიცხადით წარმოაჩინა ქართული სულის სიძლიერე და საისტორიო რომანის ენაზე აალაპარაკა; გალაკტიონის, ლადოს, გოგლას, ანას, მუხრანის, მურმანის, სხვათა და სხვათა პოეტურმა აზროვნებამ ერთგვარად გაამდიდრა ქართული ხასიათი.

ხალხური შემოქმედება, მითოსური სამყარო ხელოვნების საფუძველთა საფუძველია, მუსიკა, თეატრალური სანახაობანი, ქართული პლასტიკა, რიტმი, სახვითი ხელოვნება, კინოინდუსტრია სწორედ ამ საფუძველზე დგას, რასაც სატრფიალო, საყოფაცხოვრებო, პატრიოტული ამირანის დევის ნიშხა-ბარბალოკას, კოპალას მითოსური აზროვნება წარმოადგენს.

დროთა განმავლობაში იცვლება სამყაროში მიმდინარე მოვლენები, ცვალებადობა დროში განსაკუთრებით მიმდინარე მოვლენებზე აისახება, ასე იყო მაშინაც, როცა 70-წლიანმა რეჟიმმა არსებობა ტრაგიკულად დაამთავრა, რუსის ჩექმა ქართველის სისხლით აივსო „შენ სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო“, – ამბობს პოეტი. 9 აპრილის ტრაგედიამ სრულყო და მოახდინა ღირებულებათა გადაფასება, რითაც დაიწყო უმთავრესი თაობათა თანდათანობითი ცვლა, რომელიც ახალი დროის დაწყების მომასწავებელი გახდა. აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის გამოსვლამ რუსეთის ყრილობათა სასახლეში მეზობელ მართლმადიდებელ ქვეყანას აგრძნობინა, რომ პატარა ქვეყნის სრულყოფა, ისიც უცხოელის ხელით, სრულიად მიუღებელია.

ქართველი ერის გამოღვიძებას, თვითგამორკვევას, გაცნობიერებას, ქართულ ცნობიერებაში ეროვნულობის თვითშეგნების ჩამოყალიბებას, როგორც პოეტი იტყოდა: „მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს“ 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ქართველი კაცი იტყვის: „21 ადამიანის სიცოცხლე არაფერია, როცა ერი უნდა გადარჩეს“, მაგრამ რა ვუყოთ იმას, უფალი რომ შეგვახსენებს ათი მცნებით „არა კაც კლა“. ყოველი ადამიანის სიცოცხლე დედისგულივით სათუთი და მოსაფრთხილებელია.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდროინდელმა მოვლენებმა გვიხსნა 70-წლიანი რუსული მარწუხისაგან და დავიწყეთ ფიქრი იმაზე, რომ უნდა გვეცხოვრა, დამოუკიდებლად გვერჩინა თავი, უნდა გამოკვეთილიყო ქართველი კაცის შრომისუნარიანობა სხვადასხვა კუთხით. პოლიტიკოსთა მეტყველებაში ქვეცნობიერებად შეიჭრა გარდაქმნა, საჯაროობა, დემოკრატია, არადა თავისუფლების პრობლემა მე-20 საუკუნეს ყოველთვის აწვალებდა, რისგან და ვისგან ვართ თავისუფლები, ზნეობისგან, ნამუსის ქუდისგან, არადა ვინ იცის, რომ არ შეცვლილიყო საზოგადოებრივი ცხოვრების აზრი, რიტმი, შეხედულებები, არ გახსნილიყო მსოფლიოს კარი საქართველოსათვის, ვინ იცის რა ვიქნებოდით, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ქართველმა სწრაფად შეითვისა ნანატრი ამერიკის სუნთქვა, შეითვისა ყოველი და შედეგად მივიღეთ განუმეორებელი ინფორმაციის საუკუნე, ე.წ. ელექტროტვინი, რომელსაც კომპიუტერი ჰქვია დადებითი და უარყოფითი მხარეებით. სწრაფად დაგვაკავშირა სამყაროსთან, დაგვაკარგვინა ფიქრის უნარი, წიგნს დაგვაშორა, არადა წიგნი ხომ ცოცხალი პროცესია, ლამის წინაპართ საძვალე დაგვავიწყა, სანუკვარი ქართული ენა ინგლისურით ჩაანაცვლა. ახლა თქვენ მეტყვით, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო, მართებულია, მაგრამ ზომიერებაა საჭირო ყველგან და ყველაფერში. უნდა ვიფიქროთ, ტრადიციულ ქვეყანას ეს რამდენად წაადგება, რა იყო 2008 წლის ომი, ჩვენი არასწორი ქმედების დიდი ნაბიჯი, უკვე მერამდენედ შევებრძოლეთ დიდ რუსეთს, რომელსაც ლომის ხახას უწოდებენ, ისევ და ისევ ადამიანთა სიცოცხლის ფასად. ეს ის ადამიანია, რომელიც უფალმა ხატად თვისად შექმნა, ეს ის ომი იყო, რომელიც გლობალიზაციის პერიოდის კუთვნილებაა; როგორც ჩანს, ამერიკანიზაციის პროცესში საქართველომ უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ გადარჩეს წალეკვას, შეინარჩუნოს საკუთარი ილიასებურად ენა, მამული, სარწმუნოება.

სტუ-ს სრული პროფესორი, ჯემალ გაბელია
სტუ-ს ისტორიის დოქტორი, დავით სოლომონიშვილი

საავტომობილო გზების გარკვეულ მონაკვეთზე ისევ შეზღუდვები მოქმედებს

ახალციხე-ნინოწმინდის საავტომობილო გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილია, ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, ამ დროისათვის, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ55-კმ152 (იგოეთი-ხევი) მონაკვეთზე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ასევე, ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილია ახალციხე-ნინოწმინდის (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზაზე.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის არაგვისპირი-გუდაური-ლარსის მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა გუდაური-კობის მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო არაგვისპირი-გუდაურისა და კობი-ლარსის მონაკვეთზე თავისუფალია. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მთელ გზაზე თავისუფალია.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

აშშ ირანისა და საუდის არაბეთის კონფლიქტში არ ჩაერევა

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ირანმა და საუდის არაბეთმა თავიანთი უთანხმოება თავადვე უნდა მოაგვარონ.

– ჩვენ ამაში არ ჩავერევით, – ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კი განაცხადა, რომ მზადაა, ირანსა და საუდის არაბეთს შორის შუამავლის როლი იკისროს.

– პუტინს სურს საუდის არაბეთზე ამერიკელების გავლენა შეამციროს და ნავთობზე ფასების აწევას მიაღწიოს, – ასეთია ბიბისი-ს კომენტარი.

კიოლნში ქალებს თავს ესხმიან

ახალი წლის დადგომა გერმანიაში ძალადობის აქციებით აღინიშნა.

კიოლნის მერმა ჰენრიეტა რეკერმა განაცხადა, რომ განხორციელდა თავდასხმა 80 ქალზე. უმრავლესობა მათგანი გაუპატიურებულია, ერთერთი კი წინააღმდეგობის გაწევისას დაიღუპა.

– გამოძიებით დადგენილია, რომ თავდამსხმელთა უმრავლესობა არაბი ან აფრიკიდან ჩამოსული ლტოლვილია, – თქვა რეკერმა.

ანალოგიური თავდასხმები მოხდა ბრემენში, ჰამბურგში, შტუტგარტსა თუ სხვაგან.

გერმანიის კანცლერმა მერკელმა მომხდარის გამო აღშფოთება გამოთქვა.

– ჩვენს სამართალდამცველებს მოვუწოდებ, რათა დამნაშავეები რაც შეიძლება სწრაფად გამოავლინონ და დასაჯონ, – თქვა მერკელმა.

ტერორისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია მცირდება

სირიასა და ერაყში ტერორისტებთან ბრძოლა გრძელდება.

ერაყში ტერორისტებთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს. მიზეზი როგორც ამერიკული ავიაციის დარტყმები, ასევე ადგილობრივი ძალების აქტიური მოქმედებაა. ამ მხრივ განსაკუთრებით შიიტი-მოლაშქრეები და ქურთების ფორმირებები უნდა გამოვყოთ. ისინი გამოირჩევიან დისციპლინით და დარაზმულობით. ამან, პლუს ამერიკელების მხარდაჭერამ, შედეგი გამოიღო.

ერაყში უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ტერორისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია შემცირდა.

განსხვავებული სიტუაციაა სირიაში. რუსეთის ჩარევამ ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. დაგეგმილი იყო სირიის ტერიტორიის 80 პროცენტის გათავისუფლება, თუმცა ასადმა მხოლოდ 20%-ის მიღება შეძლო. თანაც საეჭვოა, რომ მან ეს ტერიტორიები შეინარჩუნოს.

კუვეიტმა ირანთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა

კუვეიტმა ირანთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გაეროს უშიშროების საბჭომ თეირანში საუდის არაბეთის საელჩოზე თავდასხმა დაგმო.

ამრიგად, იზრდება იმ მუსლიმანურ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებმაც ირანთან ურთიერთობები გაწყვიტეს.

ობამას იარაღის თავისუფალი გაყიდვის შეზღუდვა სურს

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ კონგრესის პოზიციით უკმაყოფილოა.

მის კანონპროექტს იარაღის გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების შესახებ



კონგრესმა მხარი არ დაუჭირა.

– ჩვენ ვფიქრობთ, თუ როგორ შეიძლება ამ კანონპროექტის კონგრესის გვერდის ავლით მიღება, – თქვა ობამამ.

ავღანეთში ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა

ავღანეთში გრძელდება შეტაკებები სამთავრობო ძალებსა და თალიბანს შორის.

სამთავრობო ძალებს საერთაშორისო კო-

ალიციის წარმომადგენლები აქტიურად ეხმარებიან.

უკანასკნელი ბრძოლისას ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, ორი დაიჭრა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

აჭარისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანი 10 ათას ლარამდეა

პირველადი მონაცემებით, აჭარისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანი 10 ათას ლარამდეა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძემ რეგიონში დიდთოვლობის შედეგად წარმოქმნილ პრობლემაზე ისაუბრა.

რაც შეეხება ელექტრომომარაგების კუთხით არსებულ ვითარებას, მისი ინფორმაციით, მაღალმთიან ხულოში ელექტროენერგია 2.600 აბონენტს არ მიეწოდება.

არჩილ ხაბაძე:

– უახლოეს დღეებში, როცა დასტაბილურდება სიტუაცია, დავითვლით ზარალს. პირველადი ინფორმაციით, ზარალი 10 ათას ლარამდეა. ქობულეთში გათიშულია 700-მდე აბონენტი. მიმდინარეობს სამუშაოები, ძირითადად პრობლემები სოფელ ქაქუთის მიმართულებითაა.

შეგვექმნა პრობლემა ხულოს რაიონში, სადაც 2.600 აბონენტია გათიშული.

მისივე თქმით, გზების დეპარტამენტი მუნიციპალიტეტებში ცენტრალურ გზებს წმენდს და ავტოტრანსპორტის კუთხით შეფერხება რეგიონში არ ფიქსირდება.

არჩილ ხაბაძის განმარტებით, წყალსადენის ძველი სისტემის აბონენტებს დღეს შეზღუდული აქვთ წყლით მომარაგება, რაც საღამომდე აღმოიფხვრება.

ინტერპრესნიუსი

თითოეულ დაზარალებულ ოჯახს ხელისუფლება დაეხმარება

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ საგანგებო შტაბის გაფართოებულლი სხდომა გამართა, რომელსაც რეგიონში ძალოვანი უწყების ხელმძღვანელები, გამგებლები, მერები და გუბერნატორის მოადგილეები ესწრებოდნენ.

როგორც „ინტერპორესნიუსს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციიდან აცნობეს, გუბერნატორმა სხვა-

დასხვა მუნიციპალიტეტბში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

მათი განმარტებით, რეგიონის მაასშტაბით ყველა ცენტრალური, სოფლამდე მისასვლელი და შიდა გზები გაწმენდილია.

ლევან შონიამ დიდთოვლობის შედეგად დაზიანებულ სახლებზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, თითოეულ დაზარალებულ ოჯახს ხელისუფლება დაეხმარება. უფრო კონკრეტულად, ზუგდიდის მუნიციიპალიტეტში ავარიულ მდგომარეობაში არსებული სამივე სახლის ნაცვლად დაზარალებული ოჯახებისთვის გამგეობა ახალ სახლებს ააშენებს.

გუბერნატორმა გაწეული მუშაობისთვის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს, მუნიციპალიტეტების პირველ პირებს და თანამშრომლებს მადლობაც გადაუხადა.

ინტერპრესნიუსი

საზოგადოება

ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში რამდენიმე სახლის სახურავი ჩამოინგრა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 25-მდე საცხოვრებელი სახლი და 4 მრავალბინიანი კორპუსის სახურავი დაზიანდა, სოფელ ნატანებში კი, სასაფლაოს ტერიტორიაზე 150 მეტრი მიწა ჩამოიშალა. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩამოინგრა ყოფილი საავადმყოფოს სახურავი და კულტურისა და დასვენების პარკში ატრაქციონის სახურავი, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ჩამოინგრა 6 სახლი. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გურიის გუბერნიაში განუცხადეს.

გურიის გუბერნატორის გია სალუქვაძის თქმით, სტიქიასთან ბრძოლის მუდმივმოქმედი შტაბი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. ითვლება

ზარალი; გუბერნატორის თქმით, ადგილობრივი მოსახლეობის მომართვიანობა გრძელდება, მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურები შეტყობინებისთანავე ახდენენ მყისიერ რეაგირებას. საბოლოო მონაცემების დადგენის შემდეგ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან დაზარალებულ მოსახლეობას შესაბამისი დახმარება გაეწევა.

ინტერპრესნიუსი

ქუთაისის აეროპორტმა მუშაობა განაახლა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში განუცხადეს, უამინდობისგან გამოწვეული შეფერხებები აღმოფხვრილია და ყველა რეისი ჩვეულ რეჟიმში სრულდება.

დიდთოვლობისა და ქარბუქის გამო 2 დღის განმავლობაში ქუთაისის აეროპორტი შეფერხებით მუშაობდა. კერძოდ, აღნიშნული მიზეზით რამდენიმე რეისი ვერ შესრულდა.

5 იანვარს ავიაკომპანია „ვიზეარის“ მგზავრები ბუდაპეშტსა და ვარშავაში ქუთაისის აეროპორტის ნაცვლად თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან გაემგზავრნენ. ასევე ქუთაისის ნაცვლად თბილისში ჩაფრინდნენ აღნიშნული ქალაქებიდან მომავალი მგზავრებიც.

ინტერპრესნიუსი

განცხადებები

მკურნალობა

● დაქვეითებული სმენის – ნევრიტის,ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: აღმაშენებლის 93. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიაიცირებული სახალხო მკურნალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ფაჩულიას ტრილერში ორმაგ დუბლამდე ქულა დააკლდა



საოცარი მატჩი მოიგო ზაზა ფაჩულიას დალასმა, რომელმაც 2-ოვერტაიმიან თრილერში საკრამენტო კინგზი 117:116 დაამარცხა. გამარჯვების სამქულიანი საფინალო სირენის თანხლებით დერონ უილიამსმა ჩააგდო.

სანამ ფაჩულიაზე ვისაუბრებდეთ, მანამდე გეტყვით, რომ ძირითადი დროის დასრულებამდე 48 წამით ადრე დალასელები 94:90 იგებდნენ, თუმცა იტალიელმა მარკო ბელინელიმ 2 სამქულიანი ჩააგდო და სირენამდე 13 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრა – 96:96. ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წამით ადრე დერონ უილიამსმა მოახერხა გარღვევის შედეგიანად დაგვირგვინება და მასპინძლები 2 ქულით დააწინაურა, თუმცა საფინალო სირენის თანხლებით დემარკუს ქაზენსმა გამთანაბრებელი ჩააგდო.

სწორედ ქაზენსი უნდა გამხდარიყო მატჩის გმირი, რომელმაც ფრედ (6:6) დასრულებული პირველი ოვერტაიმის შემდეგ აიწყვიტა და მეორე დამატებით 5-წუთეულში ზედიზედ 8 ქულა ჩააგდო, რასაც რუდი გეიმ სამქულიანიც მოაყოლა და დასრულებამდე 1.20 წუთით ადრე საკრამენტო 116:109 დაწინაურდა.

თითქოს მატჩის ბედიც აქ გადაწყდა – 80 წამში 7 ქულის გაბათილება და გამარჯვების მოპოვება სენსაციის ტოლფასი იყო, მაგრამ დალასელებმა ეს მოახერხეს და მძიმე, თუმცა ტკბილი გამარჯვება მოიპოვეს.

სასწაულებრივ 80 წამში მატჩის ბომბარდირმა ქაზენსმა 2 სროლა ააცილა, ხოლო დერონ უილიამსმა ორქულიანი, დირკ ნოვიცკიმ კი სამიანი ჩააგდო და სირენამდე 26 წამით ადრე დალასელთა ჩამორჩენა 2 ქულამდე შემცირდა.

მასპინძლებმა უმჭიდროესი დაცვის წყალობით საკრამენტოელებს შეტევის უფლება არ მისცეს და ამისთვის გამოყოფილი 24 წამის გასვლის შემდეგ, ოვერტაიმის დასრულებამდე 1,3 წამით ადრე ბურთი მავერიკსს გადაეცა.

დალასელებმა 20-წამიან წუთშესვენებაზე მოითათბირეს, თუ ვის უნდა ესროლა გადამწყვეტი ბურთი. გვერდითი ხაზიდან დევინ ჰარისმა პასი უილიამსს მიაწოდა, რომელმაც სირენის თანხლებით გამარჯვების სამქულიანი მოედნის კუთხიდან ჩააგდო.

ზაზა ფაჩულიას ორმაგ დუბლამდე 1 ქულა დააკლდა. ქართველმა ცენტრმა 9 ქულა, 17 მოხსნა და 5 ჩაჭრა მიითვალა. ზაზამ 11-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

20 მოგებითა და 15 მარცხით დალასი დასავლეთ კონფერენციაში კვლავ მე-5 ადგილზეა და მომდევნო მატჩი ნიუ ორლეანში პელიკანსთან ელის.

სანდრო მამუკელაშვილი: „საქართველოს ნაკრებში უნდა ვითამაშო?

18 წლამდე ასაკის ევროლიგის პირველი რაუნდის ფინალში 2 ქართველი კალათბურთელი გავიდა – გოგა ბითაძე და სანდრო მამუკელაშვილი. ფინალში ბითაძის მეგალაქსმა 73:71 მოუგო ანჯელო ბიელას.

ბითაძემ 5 ქულა, 4 მოხსნა, 2 დაფარება და 1 პასი მოინაგრა 15 წუთში, ხოლო მამუკელაშვილმა – 13 ქულა, 7 მოხსნა და 1 პასი 25 წუთში.

ბითაძე მეგალაქსში ახალი გადასულია, ხოლო ვინც ევროპულ კალათბურთს თვალს ადევნებს, მათთვის ნაცნობი იქნება, რომ ამ სეზონის დასაწყისში იტალიური ანჯელო ბიელაში გადავიდა ქართველი კალათბურთელი სანდრო მამუკელაშვილი.

იქაური მედია საკმაოდ კარგად არის განწყობილი ქართველი ფორვარდის მიმართ. აპენინელები აქებენ ქართველი კალათბურთელის კოორდინაციას, სპორტულ აღნაგობასა და ფიზიკურ მონაცემებს. პარალელურად, ამ კომპონენტების გაუმჯობესებაში ეხმარება მწვრთნელი ფედერიკო დანი, რომელიც კმაყოფილია მამუკელაშვილის პროგრესით და მოხარულია, რომ ასეთი ნიჭიერი კალათბურთელი მის გუნდშია.

იტალიური მედია ქართველი კალათბურთელის ისტორიითაც დაინტერესდა და საუბარიც ამ თემით დაიწყო.

– თქვენი წარსულით დავიწყოთ. საიდან ხართ, სად დაიწყეთ კალათბურთის თამაში და როგორი კალათბურთელები მოგწონდათ?

– საქართველოდან ვარ. მართალია, ამერიკაში დავიბადე, მაგრამ საქართველოში გავიზარდე, სადაც ჩემი ოჯახი გადასახლდა. კალათბურთის თამაშიც იქ დავიწყე. ახლა ერთი მთავარი მიზანი მაქვს – ჩემი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში უნდა ვითამაშო. ასაკობრივ ნაკრებებში კი მაქვს ნათამაშევი.

– ბიელაში მოსვლამდე სად გითამაშიათ?

– სპორტულ სკოლაში საბავშვო გუნდში დავიწყე, მაგრამ როდესაც ნაკრებში გამომიძახეს, გადავწყვიტე, საქართველოს საკალათბურთო აკადემიაში გადავსულიყავი. ეს უკეთესი განვითარებისა და კალათბურთის უფრო მაღალ დონეზე აყვანის დიდი შანსი იყო.

– ბიელა რატომ აირჩიეთ? რა უპირატესობა აქვს აქ ყოფნას?

– ბიელაში პირველად ივლისში ჩამოვედი და რამდენიმე ვარჯიშში მივიღე მონაწილეობა. აგვისტოში უკვე ვიცოდი, რომ ჩემით დაინტერესებული იყვნენ. ვარჯიშების პერიოდში ბიელა მომეწონა და მივხვდი, რომ საუკეთესო ვარიანტი იყო.

– დიდი განსხვავებაა ბიელასა და შენს ყოფილ გუნდს შორის საქართველოში? მაინც რა კომპონენტები გაქვთ გასაუმჯობესებელი?

– ორი სხვადასხვა დონეა. საქართველო ისედაც პატარა ქვეყანაა და იქ იმ დონის კალათბურთი არ არის, რაც იტალიაში. აქ ჩამოსვლამდე ვიცოდი, რომ უფრო მაღალი კლასის კალათბურთელების წინააღმდეგ უნდა მეთამაშა. იტალიაში გაცილებით მაღალი დონეა, უფრო ხისტი და აგრესიული დაცვაა. თუმცა, ალღოც მალე ავუღე და ამაში დიდად დამეხმარნენ ჩემი თანაგუნდელები. პირადად ჩემ თამაშს რაც შეეხება, მაქვს სამუშაო, მაგრამ შევეცდები ყველაფერი მალე იყოს უკეთესად.

– საკალათბურთო კოლეჯის გუნდში თამაშობთ. ეს კარგი არჩევანია კარიერისთვის?

– ნცაა-ს საკალათბურთო კოლეჯი შესანიშნავი იქნებოდა. კარგი ლიგაა, სადაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება. კოლეჯიდანაც არ არის რთული, სადმე უკეთეს გუნდში აღმოჩნდე.

– სად წარმოგიდგენიათ თავი 5 წლის შემდეგ?

– ჩემი ოცნებაა, ევროლიგის ძლიერი გუნდში ან ნბა-ში ვითამაშო, მაგრამ რა იქნება 5 წლის შემდეგ, ამას ახლა ვერ გეტყვით – ყველაფერი შესაძლოა მოხდეს. ამასთან, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული – თუ თავდაუზოგავად და დაუღალავად ვივარჯიშებთ, ჩემი ოცნების ახდენა რთული აღარ იქნება, მაგრამ წინასწარ არავინ იცის, რა მოხდება. პირადად კი, თავს არ დავზოგავ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ დიდი კალათბურთი ვითამაშო.

ზიდანი: „დავიწყოთ მოგებები“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რიდელებს დიდი მოთხოვნები აქვს. ზიდანს ბევრი მუშაობა მოუწევს. ფრანგს წარმატებას ვუსურვებ.

მატერაციისგან განსხვავებული აზრი აქვს ბარსელონას ყოფილ და მიუნხენის ბაიერნის ამჟამინდელ მწვრთნელ პეპ გვარდიოლას. ამაში გასაკვირიც არაფერია.

პეპ გვარდიოლა:

– ზიზუ იყო დიდებული ფეხბურთელი, ნამდვილი პროფესიონალი. მისი ნიჭიერება მუდამ ყველას აოცებდა და არ გამოვრიცხავ, რომ ფრანგი სპეციალისტის სამწვრთნელო კარიერაც სწორედ ასეთი იყოს. მიუხედავად ჩემი დიდი სიმპატიისა ზიდანის მიმართ, მე მას წარმატებებს ვერ ვუსურვებ, რადგან ბარსელონას გულშემატკივარი ვარ.

* * *

ზიდანს სერიოზული მუშაობა მოუწევს შემადგენლობასთან დაკავშირებით. როგორც ბრიტანულ საინფორმაციო საშუალებები წერენ, მანჩესტერი მზად არის, რეალის ბიუჯეტში ნებისმიერ წამს ჩარიცხოს 102 მილიონი ევრო. რატომ? მანჩესტერელებს გარეთ ბეილის შეძენა სურთ და რეალში არსებული ვითარების გამოყენება აქვთ განზრახული.

როგორც ჩანს, ივნისის ბოლომდე ბენზემა-ბეილი-კრიშტიანოს ტრიო ხელშეუხებელი იქნება. 6 თვე აბსოლუტურად საკმარისია იმისთვის, რომ ზიდანმა შემტევი ტრიოს შესაძლებლობები ბოლომდე შეიცნოს.

უელსელი ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში არც ისე ურიგოდ გამოიყურება, რაც იმას ნიშნავს, რომ შანსს აუცილებლად მიიღებს, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიყენოს.

ერთია, თუ ბეილი ზიზუს ტაქტიკას ვერ მოერგო, მას ბელგიელი შემტევი, ედენ აზარი ჩაანაცვლებს, რომელიც სადღეისოდ ჩელსიში ბრწყინავს.

თუმცა, ზიდანს პრესკონფერენციაზე ამის შესახებ არ უსაუბრია – პირიქით, ჯერ ბეილის ეიმედება.

ვარჯიშის შემდეგ ზინედინი მედიას წარუდგა. პრესკონფერენციაზე მადრიდისთვისაც კი რეკორდულად ბევრი ჟურნალისტი მივიდა.

– თქვენი მოსვლის შემდეგ რა ბედი ეწევა გარეთ ბეილს?

– დარწმუნებით ვიცი, რომ ბეილი ძალიან წუხს ბენიტესის მოხსნის გამო, რადგან რაფა ძალიან მნიშვნელოვანი მწვრთნელი იყო მის კარიერაში. მე ეს კარგად მესმის, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩემს გეგმებშიც დიდი როლი ექნება ბეილს. ბოლო დროს ბეილი ფენომენურად თამაშობს და ის რეალის წარმატების წინაპირობად, ერთ-ერთ მთავარ ფუნდამენტად მიმაჩნია. მას ჩემი მხარდაჭერა ექნება და, რეალის გულშემატკივრების გასახარად, კარგ თამაშს გააგრძელებს.

– გააგრძელებს თუ არა რეალი შემტევი ტრიოთი – გარეთ ბეილი, ქარიმ ბენზემა, კრიშტიანო რონალდო – თამაშს?

– რა თქმა უნდა, რეალის შეტევის იდეა ნათელია – ჩვენ ისევ სამი ფეხბურთელით შევუტევთ. შემტევი სამეული იგივე იქნება.

– ძალიან მწირი სამწვრთნელო გამოცდილება გაქვთ. ეს ხელს არ შეგიშლით?

– მიმუშავია ჟოზე მოურინიოსთან და კარლო ანჩელოტისთან. ორივემ ძალიან ბევრი რამ მასწავლა და მათგან ბევრი შევითვისე. მაგრამ მათგან რამის კოპირებას არ ვაპირებ. მინდა, თავად მივაღწიო წარმატებას, მე უნდა ვიყო ზიდანი.

– ფეხბურთელთა შორის თქვენ მეტი ავტორიტეტი სარგებლობთ, ვიდრე რაფა ბენიტესი.

– მწვრთნელის როლი თამაშების და ტიტულების მოგებაა და არა – საკუთარი მეს მტკიცება. უნდა მოვიგო თამაშები, სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს. ჩვენ ამ სეზონში ორი ჯილდოს მოგება კიდევ შეგვიძლია და შევეცდებით, ორივე მოვიგოთ.

– თქვენ არც დიპლომატიური შესაძლებლობებით დაიკვეხნით, ეს არ შეგიშლით ხელს ფეხბურთელებთან კომუნიკაციაში?

– ვიცი, რომ დიდი მჭევრმეტყველი არ ვარ, მაგრამ ყოველდღიური შრომითა და მონდომებით საჭირო კომუნიკაციას მივაღწევ ყველასთან. ჩემი მთავარი მესიჯი ფეხბურთელებისადმი ესაა – მოდი, დავიწყოთ მოგებები.

– როგორია კონტრაქტის დეტალები? თქვენ 2018 წლამდე გაკავშირებთ ხელშეკრულება რეალთან.

– ჯერ ყველა დეტალი არ დაგვიზუსტებია, ასე რომ, ვერაფერს გეტყვით.

– თქვენი სამწვრთნელო კარიერა ისე იწყება, როგორც პეპ გვარდიოლასი.

– გვარდიოლა დიდი მწვრთნელია, მაგრამ მე არასოდეს შემიდარებია ჩემი თავი რომელიმე სხვა ფეხბურთელისათვის. ეს არ მიქნია ფეხბურთელობისას და არც ახლა ვაპირებ.

– რა აზრის ხართ ბენიტესის გაწეულ შრომაზე?

– მის დროს ფეხბურთელები ძალიან კარგად მუშაობდნენ. ბენიტესი ძალიან კარგი იყო და მას ყველგან წარმატებას ვუსურვებ მომავალში.

– რეალის სათამაშო სტილი როგორი იქნება?

– ფეხბურთის თამაშის სტილი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო რეალში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გუნდმა მაღალი ხარისხის ფეხბურთი აჩვენოს. ბურთი დაცვიდან უნდა წამოვიღოთ, ვაკონტროლოთ და მეტოქის ნახევარზე დავსახლდეთ.

ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატს იწყებს

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის 2016 წლის ჩემპიონატზე იასპარეზებს, რომელიც სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში 10-23 იანვარს გაიმართება.

16 გუნდი 4 ოთხგუნდა ჯგუფადაა დაყოფილი. ჩვენები ჯგუფში რუმინეთის, გერმანიისა და იტალიის ნაკრებებთან ითამაშებენ.

მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრებმა ძირითადი მოსამზადებელი პერიოდი უკვე გაიარა.

საქართველოს ნაკრები ჰოლანდიაში იქაურ ნაკრებს გაეჯიბრა და 12:11 მოუგო. ქართველებმა მეტოქეს საწყისი 2 მეოთხედი მოუგეს – 3:2 და 4:3, მე-3 მეოთხედში უკვე ჰოლანდიელებმა იძალეს – 2:2, ხოლო დასკვნითი პერიოდი 4:4 დასრულდა და საბოლოო გამარჯვება ქართველებს დარჩათ.

არადა, ჰოლანდიელებთან ჩვენებს ახალ წლამდე გამართულ ოთხთა ტურნირშიც მოუწიათ გაჯიბრება და მაშინ 9:14 დამარცხდნენ. იმავე ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის თანაჯგუფელი რუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

შედეგები

5 იანვარი

ფეხბურთი

ინგლისი. თასი

სტოკი-ლივერპული 0:1

იტალია. სერია ა

ჯენოა-სამპდორია 2:3

სატენნიო ცხრილი:

1.ინტერი	17	11	3	3	23-11	36
2.ფიორენტინა	17	11	2	4	33-15	35
3.ნაპოლი	17	10	5	2	31-13	35
4.იუვენტუსი	17	10	3	4	28-14	33
5.რომა	17	9	5	3	32-18	32
6.მილანი	17	8	4	5	24-21	28
7.სასუოლო	16	7	6	3	20-15	27
8.ემპოლი	17	8	3	6	23-22	27
9.ატალანტა	17	7	3	7	19-19	24
10.სამპდორია	18	6	5	7	27-28	23
11.ლაციო	17	7	2	8	20-26	23
12.კიევო	17	6	4	7	21-18	22
13.ტორინო	16	6	4	6	21-20	22
14.უდინეზე	17	6	3	8	15-24	21
15.ბოლონია	17	6	1	10	19-24	19
16.პალერმო	17	5	3	9	17-26	18
17.ჯენოა	18	4	4	10	17-26	16
18.ფროზინონე	17	4	2	11	17-34	14
19.კარპი	17	2	4	11	15-33	10
20.ვერონა	17	0	8	9	12-27	8

საბეჭდნეთი. სუპერიგა

ლარისა-ასტერასი 0:3

ვერია-ირაკლისი 0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ნატო მეტონიძეს ნიუ იორკში ელოდებიან

მომღერალ ნატო მეტონიძეს ნიუ იორკში ელოდებიან. ხელოვანი ამერიკული პრემიერისთვის ემზადება. ნიუ იორკში, ტრაიბეკას თეატრში ნატო მეტონიძე თავის ახალ პროექტს წარადგენს. ცენტრში შეკრებილი მსმენელი პირველად მოისმენს მისი, დავით დოიაშვილის და ნიკოლოზ რაჭველის ერთობლივ პროექტს „ინტროსპექცია – ამბავი ჩვენზე“. ეს არის კიდევ ერთი წარმატებული პროექტი, რომელიც 12 წლიანი პაუზის შემდეგ განხორციელდა. ამ სამეულმა წლების წინ წარმოადგინეს გია ყანჩელის კინოსა და თეატრის მუსიკა სულ სხვა ინტერპრეტაციით, 12 წლის შემდეგ კი კვლავ დაბრუნდნენ ერთად სცენაზე

„ინტროსპექცია – ამბავი ჩვენზე“ არის არა კონცერტი, არამედ საინტერესო და ორიგინალური წარმოდგენა თავისი დეკორაციითა და კოსტუმებით, მუსიკისა და დრამის თეატრის არტისტებით. სცენაზეა ეროვნული სიმფონიური ორკესტრიც და რაც მთავარია, დო საოცარ ამბავს თხზავს, თავისი ეპიზოდებითა და მოქმედი გმირებით.

– ამ საღამოს ყოველ ჩვენგანს გაგვიჩნდება სურვილი, გავიხსენოთ ჩვენი განცდები, სულაც არ უნდა გვახსოვდეს, მაგრამ საიდანღაც რომ ვიცით, როგორი იყო 60-იანი წლების თბილისი... გვახსოვს პირველი სიყვარულის სურნელი, ეპოქა, რომელიც, თვალი რომ გავახილეთ, მაშინ გავიცანით, გვახსოვს ომი და დანგრეული თბილისი, რეზინის ჩექმა, მავთულხლართები და წითელი ვარდი... „ინტროსპექცია – ამბავი ჩვენზე“ მუსიკის ენით არის მოთხრობილი ის, რაც ყველამ ვიცით, რაც თავს გადაგვხდენია, მაგრამ არასოდეს გვინახავს და მოგვისმენია ერთად შეკრებილი, – ამბობს მომღერალი.

ამერიკულ პრემიერას განსაკუთრებით ელოდებიან ნიუ იორკში მცხოვრები ქართველები:

– ჩემო ნიუ იორკში მცხოვრებო მეგობრებო, გვეწვიეთ 9 იანვარს ტრაიბეკას თეატრში დავით დოიაშვილისა და ჩემი ერთობლივი მუსიკალური სპექტაკლის „ამბავი ჩვენზე“ პრემიერაზე თქვენს ქალაქში. მთავარ როლში შეუდარებელი ქართველი მომღერალი ნატო მეტონიძე!!! დიდ ქართველ კომპოზიტორთა მუსიკით გაჯერებულ კონცერტ-პერფორმანსზე ერთად გავივლით საქართველოს უახლეს ისტორიას და ორიგინალური ფორმით მოვისმენთ ამბავს ჩვენზე, ანუ ამბავს თქვენზე. გამიხარდება თქვენი ნახვა ტრაიბეკას თეატრის დარბაზში.

მარკუს მეტრეველი: „როგორი ფსევდოა ეს ყველაფერი“

მომღერალი მარკუს მეტრეველი ქართველ საზოგადოებას ახალ წელს ულოცავს, თან, საკუთარი ოჯახის გარდა, გვერდით გახედვისკენაც მოუწოდებს და თანამემამულეების დახმარების ინიციატივით გამოდის.

მარკუს მეტრეველი:

– მოვიდა ეს ნანატრი ახალი წელიც. მოგვემატა კიდევ ერთი, ანუ დაგვაკლდა ჩვენი ცხოვრებიდან კიდევ 1 წელი...

ყველა ვითომ ბედნიერი, ყველას ვითომ ერთმანეთი უყვარს, ყველა კეთილშობილდება, ყველა იღიმის და ცხოვრება უხარია. როგორი ფსევდოა ეს ყველაფერი. სრული ფარისევლობა!

სუპერმარკეტებში რიგები, ჩქარა გავავსოთ კალათები საჭმლებით, მთელი წლის დანაზოგი დავდოთ საახალწლო მაგიდაზე სხვისი თვალის დასანახად. შემდეგ ვიღაცას ზედმეტი კალორიების მიღების გამო კუჭი უსკდება და საავადმყოფოში გადაყავთ, საწყალ ბებოებს კი ერთ ღარზე დათვლილი კალორიების გამო შიმშილით კუჭები უხმებათ და საჭმლის რიგებში დგომით სიცოცხლის სურვილი უქრებათ.

ამ დროს ჩვენს გვერდზე ვიღაცა ქუჩაში იყინება სიცივისგან და დილით გარდაცვლილს პოულობენ, ზოგს კი სახლში სითბოსგან ლოყები უღაჟღაჟებს, ზოგ ოჯახს ახალ წელს გამხმარი პურიც არ აქვს, ზოგს კი ზედმეტი ტკბილეულის მიღებით შეტევა მოსდის და საავადმყოფოში გადაყავთ. ზოგი ზედმეტი შამპანით იწამლება, ზოგი კი – ბუნკერში ჩაგდებული ვადაგასული საკვებით.

ზოგი ძვირადღირებულ საჩუქრებს ელოდება, ზოგი კი საჩუქრად შაქრიან პურს ელის.

ცოტა ხნით გვერდზე გადავდეთ ერთმანეთის ლანძღვა-თათხვა, ბოღმა, შური, მტრობა, ჭორიკნობა, ყველაზე მაგრობა, ყველაფრის მცოდნეობა, ყველაზე ნიჭიერება, რა მაგარია, თუნდაც რამდენიმე დღით რომ ესე დაგინახეთ, ფსევდოა, მაგრამ თურმე შეგვძლებია თუნდაც რამდენიმე დღით. ცხადია, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ უმეტესობას...

ახალი წელი ჩემთვის მარტო იმიტომ არის ლამაზი, რომ უფერულ ქალაქს, სახეებს, ემოციებს, ადამიანებს ხდის ბრჭყვიალას, ვგრძნობ მეტ სიყვარულს, ერთობას და მათრობს ტკბილი გოზინაყის სურნელი, ფანჯრებიდან რომ გამოედინება და ცივ ზამთრის თბილისურ ქუჩებში რომ ეფინება... მიყვარხართ მაიმუნურად!!!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

„ვოისმა“ ფინალისტები დაასახელა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვალისწინებულია მაყურებლის და ანრის გადაწყვეტილება, ფინალში გადავიდა ვანო ტურაბელიძე.

ნუცას გუნდის შედეგები ასეთია: შოთიკო ტატიშვილი 152 %, მაგდა გიორგაძე 48 %, გათვალისწინებულია მაყურებლის და მწვრთნელის გადაწყვეტილება, ფინალში გადავიდა შოთიკო ტატიშვილი.

ასე რომ, „ვოისს“ მწვრთნელებისა და მაყურებლების გადაწყვეტილებით, 4 რჩეული ფინალისტი ჰყავს – სალომე დოლიძე, გიორგი ნადიბაიძე, ვანო ტურაბელიძე და შოთიკო ტატიშვილი. მათგან ერთერთი 12 იანვარს მუსიკალური შოუს მესამე სეზონის გამარჯვებული გახდება.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

სპორტი

წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატს იწყებს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მინეთი 12:9 დაამარცხა, ხოლო თურქეთს 14:10 მოუგო.

აქვე ჩვენს სხვა თანაჯგუფელებზეც გეტყვით: იტალიის ნაკრები ოთხეულის ფავორიტია და ეს ვოლვოს თასის მოგებითაც დაამტკიცა, სადაც უნგრელებს, ესპანელებსა და სლოვაკებს დამაჯერებლად მოუგო.

ოთხთა ტურნირზე იასპარეზა გერმანიის ნაკრებმაც. მართალია, გერმანელებმა ამ ტურნირზე მე-3 ადგილი დაიკავეს, მაგრამ თანაბარი ქულები დააგროვეს ხორვატიისა და ჩერნოგორიის ნაკრებებთან ერთად და მათ მხოლოდ ბურთების სხვაობით ჩამორჩნენ.

გერმანელებმა ამ ტურნირზე ხორვატიის ძალიან ძლიერი ნაკრები დაამარცხეს. რეიტინგის მიხედვით, ეს სენსაციური შედეგი ჩანს, მაგრამ ბოლო დროს ჩვენმა მეტოქემ ლეგიონერები დაიმატა და საკმაო ამბიციებით ხვდება ევროპის ჩემპიონატს.

როგორც უკვე გითხარით, ევროპირველობა 10 იანვარს დაიწყება. ჩვენი გუნდი პირველ მატჩს რუმინელების წინააღმდეგ 11 იანვარს გამართავს. ჯგუფში 2 საუკეთესო გუნდი პლეი ოფში 1-8 ადგილებისთვის გააგრძელებს ბრძოლას, ხოლო 3-4 ადგილზე გასული გუნდები 9-16 ადგილებს გაითამაშებენ.

ქართველი სპორტსმენი ზვავს ემსხვერპლა

28 წლის სნოუბორდისტი ნუგზარ დიაკონაშვილი ბაკურიანში უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა – სპორტსმენი მთიდან წამოსულ ზვავში მოყვა.

უბედური შემთხვევა კოხტაგორასა და დიდველს შორის მოხდა. მაშველებმა რამდენიმესაათიანი ძებნის შედეგად სნოუბორდისტი გარდაცვლილი იპოვეს.

დიაკონაშვილი ზვავის ჩამოწოლის დროს თხილამურებით სრიალებდა, თუმცა სათხილამურო ტრასებიდან მოშორებით, გაუკვალავ თოვლში იმყოფებოდა.

დიაკონაშვილი 2015 წლის საქართველოს ჩემპიონი იყო და 2018 წელს კორეაში გასამართი ზამთრის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

7 იანვრისთვის

ვერძი – სამსახურშიც და პირად ცხოვრებაშიც კონფლიქტი გელით. ფასეულობათა გადაფასების დროა. გაუფრთხილდით როგორც თქვენს, ისე ახლობლების ჯანმრთელობას. **ჯიგრო** – სიხარული და წარმატება თან გდევთ. პლანეტა ვენერა გმფარველობთ. მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – თქვენი ენერგიისა და სასიცოცხლო რესურსების გამოყენების უფლებას ნურავის მისცემთ. დაისვენეთ, არ მიიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. **კირჩხიბი** – ოჯახში სიმშვიდეა. საგრძნობლად აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა, ეს კი წარმატების წინაპიროობაა. **ლომი** – სარფიანი წინადადების წყალობით მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. საქმე შემოქმედებითად და, ამავე დროს, მოთმინებით აკეთეთ. **ქალწული** – სასარგებლო ინფორმაციას მიიღებთ, რომელიც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში აუცილებლად დაგეხმარებათ. საღამო შემოქმედებით გარემოში გაატარეთ. **სასწორი** – სერიოზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებას, სულიერების სრულყოფას, ასევე მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანად გადამოწმებას. **ღრიანკალი** – დაძაბული დღეა. შესაძლოა, სამსახურში კონფლიქტი წარმოიშვას უფროსობასთან და კოლეგებთან. ნებისმიერი პატარა კამათი დიდ სკანდალში გადაიზრდება. **მშვილდოსანი** – კარგი დღეა ძველი კავშირების აღსადგენად. გაწონასწორებული და მშვიდი ხართ. გრძელვადიანი გეგმების შემუშავება არ ღირს. **თხის რქა** – ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მცირე პრობლემა წარმოიშობა. ეს არ იქნება სერიოზული ავადმყოფობა, ალბათ, უფრო – პატარა გაციება. ყურადღება მიაქციეთ კვებას. **მერწყული** – პლანეტები გმფარველობენ. თუ დაგჭირდათ, ახლობლები და მეგობრები დახმარების ხელს გამოგიწვდიან. **თევზები** – ახალ ნაცნობს არ ენდოთ. არ გარისკოთ ფინანსური ოპერაციებისას, თორემ დამარცხდებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სიმღერა აკომპანიმენტის გარეშე; 2. აირის, სითხის მინარევებისგან გასაწმენდი ხელსაწყო; 3. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 4. ხორბლის, ფქვილის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 5. მწვერვალი კავკასიონზე; 7. ძვირფასი ლითონი; 11. წყალქვეშა მართული ჭურვი; 13. იტალიური პელმენი; 15. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 16. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 18. კამეჩის ან ძროხის ტყავისგან დამზადებული წყლის საზომი დიდი ტიკი; 19. იაპონური აბანო.

თარაზულად: 6. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 9. ეკლესია თბილისში; 10. საპატიო თანხლება; 12. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 14. დაქირავებული კავალერი; 17. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 20. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საახალწლო კერძი; 21. სომხური ცეკვა; 22. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 23. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ურუგვაი; 2. ბარონი; 3. ბუქარესტი; 4. ხვიფლი; 5. დანსინგი; 7. არნო; 11. ტაიფუნი; 13. ბაიდენი; 15. ჩხუტი; 16. დორსე; 18. ლანჩა; 19. სპოკი.

თარაზულად: 6. რეგატა; 8. ფარღული; 9. კრიკინა; 10. ვიკონტი; 12. კირხე; 14. მითანა; 17. ტრიპლექსი; 20. ქლუხორი; 21. სტრიტი; 22. ჩხიკვი; 23. ფეხბურთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ორლი; 2. ნუჟრი; 3. იალტა; 4. ჯილდა; 5. ვეზუვი; 6. თოთიბაძე; 8. მანჯგალაძე; 10. კრიმანჭული; 11. სამეგრელო; 14. ბელგია; 15. ბეტისი; 16. დაშნა.

თარაზულად: 1. ოწინარი; 4. ჯავახეთი; 7. ლიეჟი; 9. მარკა; 12. გიურზა; 13. გნომა; 14. ბრონტე; 17. პლევრა; 18. ილუმინატორი; 19. რეალობა; 20. ჰაშიში.

რა არის ქუნთრუშა

ქუნთრუშით ავადდებიან უპირატესად 10 წლამდე ასაკის ბავშვები; მიმდინარეობს ცხელებით, ზოგადი ინტოქსიკაციით, ანგინითა და წვრილწერტილოვანი გამონაყარით. დაავადება მატულობს შემოდგომა-ზამთრის თვეებში.

გამომწვევია α ჯგუფის ბეტა-ჰემოლიზური ტოქსიკოგენური სტრეპტოკოკი, რომელიც იბუდებს ცხვირ-ხახაში, იშვიათად კანში და იწვევს ადგილობრივ ანთებით ცვლილებებს (ანგინა, რეგიონალური ლიმფადენიტი).

პათოლოგიური პროცესის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ალერგიული მექანიზმები. გართულებები ხშირად უკავშირდება სტრეპტოკოკურ სუპერინფექციას ან რეინფექციას.

* * *

ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 5-7 დღე. დაავადება იწყება მწვავედ, მატულობს სხეულის ტემპერატურა, ვლინდება სისუსტე, თავის ტკივილი, ტკივილი ყლაპვის დროს. პატარა ბავშვებში, არც თუ იშვიათად, ვლინდება ერთჯერადი ან განმეორებითი ღებინება.

ბავშვები უარს ამბობენ საკვების მიღებაზე და ჭირვეულობენ. ტიპიური და მუდმივი სიმპტომია ანგინა, რომელიც ვლინდება რბილი სასის მკვეთრი ჰიპერემიით, ნუშურების გადიდებით, რომელთა ლაკუნებში ან ზედაპირზე არაიშვიათად წარმოიქმნება ნადები.

ლიმფური კვანძები გადიდებული და მტკივნეულია. ხშირია ღებინება, ზოგჯერ მრავალჯერადი. პირველ, იშვიათად, მეორე დღეს მთლიან სხეულზე ჩნდება მკვეთრი ვარდისფერი ან წითელი წვრილწერტილოვანი გამონაყარი.

ცხვირ-ტუჩის სამკუთხედი ფერმკრთალია („ქუნთრუშისებრი სამკუთხედი“) (ფილატოვის სიმპტომი); აღინიშნება თეთრი დერმოგრაფიზმი; კიდურების მომხრელებში ხშირია წერტილოვანი სისხლჩაქცევები.

გამონაყარი რჩება 2-5დღე, შემდეგში კი ფერმკრთალდება; სხეულის ტემპერატურა თანდათანობით ქვეითდება.

დაავადების მეორე კვირას იწყება კანის აქერცვლა; ენა თავდაპირველად ნადებითაა დაფარული, მე-3-4 დღეს ნადები ქრება და ენა ღებულობს ძალიან დამახასიათებელ შესახედაობას. მის წვერზე ჩანს ამობურცული დვრილები, ხოლო თვითონ ენა ღებულობს ღია წითელ ფერს („ჟოლოსებრი ენა“).

გამოხატული ინტოქსიკაციის დროს ვლინდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები (აგზნება, ბოდვები, ცნობიერების დაბინდვა).

დაავადების დასაწყისში თავდაპირველად აღინიშნება სიმპათიკური ნერვული სისტემის ტონუსის მატება, ხოლო მე-4-5 დღიდან – პარასიმპათიკური ნერვული სისტემისა.

ქუნთრუშას მსუბუქი ფორმის დროს ინტოქსიკაცია სუსტადაა გამოხატული, ცხელება და დაავადების ყველა დანარჩენი გამოვლინებები ქრება მე-4-5 დღეზე. ეს არის ქუნთრუშას თანამედროვე მიმდინარების ყველაზე ხშირი ვარიანტი.

საშუალო სიმძიმის ფორმა ხასიათდება ყველა სიმპტომის უფრო ძლიერი გამოხატულებით, მათ შორის ინტოქსიკაციის მოვლენების;

ცხელების პერიოდი გრძელდება 5-7 დღე. მძიმე ფორმა ამჟამად ძალზე იშვიათია და გვხვდება ორ ძირითად ვარიანტად: ტოქსიკური ქუნთრუშა ინტოქსიკაციის მკვეთრად გამოხატული მოვლენებით (მაღალი ცხელება, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება – გონების დაბინდვა, ხოლო ადრეული ასაკის ბავშვებში კრუნჩხვები, მენინგეალური ნიშნები), ხახისა და კანის მხრივ ყველა სიმპტომები მკაფიოდაა გამოხატული;

მძიმე სეპტიკური ქუნთრუშა ნეკროზული ანგინით, რეგიონალური ლიმფური კვანძების მძაფრი რეაქციითა და ხშირი სეპტიკური გართულებებით;

ხახაში ნეკროზები შესაძლებელია განლაგებული იყოს არა მხოლოდ ნუშურებზე, არამედ რბილი სასისა და ხახის ლორწოვან გარსზეც.

ტოქსიკურ-სეპტიკური ქუნთრუშა ხასიათდება მძიმე ფორმის ამ ორი ვარიანტის სიმპტომების შერწყმით. დაავადების ატიპურ ფორმას მიეკუთვნება წაშლილი ქუნთრუშა, რომლის დროსაც ყველა სიმპტომი გამოხატულია სუსტად, ზოგიერთი კი საერთოდ არ ვლინდება.

თუკი ინფექციის შეჭრის კარი კანია (დამწვრობა, ჭრილობა), მაშინ წარმოიქმნება ექსტრაფარინგული, ან ექსტრაბუკუური ფორმა, რომლის დროსაც ისეთი მნიშვნელოვანი სიმპტომი, როგორიცაა ანგინა, არ აღინიშნება.

მსუბუქი და წაშლილი ფორმების დროს ცვლილებები პერიფერიულ სისხლში მცირეა, ან საერთოდ არ არის. საშუალო და მძიმე ფორმების დროს აღინიშნება ლეიკოციტოზი, ნეიტროფილოზი მარცხნივ გადახრითა და ედსის მნიშვნელოვანი მატებით.

დაავადების მე-3 დღიდან მატულობს ეოზინოფილია, თუმცა მძიმე სეპტიკური ფორმის დროს შესაძლებელია შემცირება, ან სრული გაქრობა.

* * *

ქუნთრუშით მკურნალობა ტარდება ბინაზე. ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია საჭიროა მძიმე და გართულებული ფორმების დროს, ასევე ეპიდემიოლოგიური ჩვენებით. წოლითი რეჟიმი 5-6 დღის განმავლობაში.

ტარდება ანტიბიოტიკოთერაპია. გართულებების მკურნალობა ტარდება ჩვეულებრივი მეთოდებით. პროგნოზი კეთილსაიმედოა. პროფილაქტიკა. საჭიროა ავადმყოფის იზოლაცია ბინის პირობებში ან მისი ჰოსპიტალიზაცია.

ქრონიკული ტონზილიტი

არსებობს ქრონიკული ტონზილიტის (სასის ნუშების ანთება) სამი ფორმა: კომპენსირებული, დეკომპენსირებული და ატროფილური.

დეკომპენსირებული და ატროფირებული ფორმის დროს აუცილებელია ჩაუტარდეს პაციენტს ტონზილექტომია, ვინაიდან დაავადების აღნიშნული ფორმები იწვევს ისეთ გართულებებს, როგორიცაა: გულის, სახსრების დაზიანება, ზოგადი სისუსტე, ოფლიანობა.

შესაძლებელია რევმატიზმის, ნეფრიტის განვითარება. კომპენსირებული ფორმის დროს შესაძლებელია ქირურგიული ჩარევის გარეშე პაციენტის მკურნალობა.

ქრონიკული ტონზილიტით ავადდებიან როგორც მოზრდილები, ასევე ბავშვები. მიზეზი შეიძლება იყოს: განმეორებითი ანგინები, იშვიათად სხვა მწვავე ინფექციური დაავადებები (ქუნთრუშა, წითელა, დიფთერია).

ქრონიკული ტონზილიტის განვითარებას ხელს უწყობს ცხვირით სუნთქვის დარღვევა, ცხვირის დანამატი წიაღების დაავადებები, კარიესული კბილები, ალვეოლური პიორეა, ქრონიკული ფარინგიტი, ქრონიკული რინიტი.

* * *

ქრონიკული ტონზილიტის სიმპტომებია: ხახაში ჩაფხაჭნის, უცხო სხეულის შეგრძნება, არასასიამოვნო სუნი პირიდან, ე.წ საცობების-კაზეოზური მასების ამოხველება, რომლებიც წარმოიქმნებიან ნუშების ლაკუნებში, პერიოდული ტკივილი ყლაპვის დროს, რომელიც გადაეცემა ყურში.

ხშირად დაავადება მიმდინარეობს ხანგრძლივი სუბფებრილიტეტით, შრომისუნარიანობის დაქვეითებით, თავის ტკივილით, ზოგჯერ რეფლექტორული წარმოშობის ხველით.

ზოგიერთ ავადმყოფს არანაირი ჩივილი არ აქვს. ქრონიკული ტონზილიტის შემთხვევაში ფარინგოსკოპიის საშუალებით შეინიშნება ქრონიკული ანთებითი პროცესის შემდეგი ნიშნები: სასის ნუშები გაფაშრებულია, დანაწიბურებულია, შეხორცებულია სასის რკალებთან, ნუშების ზედაპირი არათანაბარია, ლაკუნები გაფართობულია.

ნუშებზე დაწოლისას ლაკუნებიდან გამოიყოფა „საცობები“ ან გადმოედინება ჩირქი არასასიამოვნო სუნით.

სასის წინა რკალების ლორწოვანი გარსი ჰიპერემიულია, განსაკუთრებით მათი თავისუფალი ნაპირი.

რეგიონალური ლიმფური კვანძები ზშირად გადიდებული და პალპაციით მტკივნეულია.

ნუშების დიდი ზომები ყოველთვის არ წარმოადგენს ქრონიკული ტონზილიტის ნიშანს (ბავშვები ეს ფიზიოლოგიურია); პირიქით, ქრონიკული ანთებითი ცვლილებები ხშირად ვითარდება პატარა ნუშებში.

კონსერვატიულია და ტარდება უმთავრესად ქრონიკული ტონზილიტის გაურთულებელი ფორმების დროს, როგორიცაა ზემოთ აღნიშნული კომპენსირებული ფორმა.

მკურნალობის არაეფექტურობის, ასევე ქრონიკული ტონზილიტის გართულებული ფორმების დროს ხდება სასის ნუშების ამოკვეთა (ტონზილექტომია). ოპერაციის უკუჩვენებებია ჰემოფილია, თრომბოციტოპენია და სხვა.

როგორ ვუმკურნალოთ დიარეას

დიარეა, ანუ ფაღარათი არის ნაწლავების მოქმედების სიხშირის, განავლის სადღეღამისო რაოდენობის და წყლიანობის ზრდა ნორმასთან შედარებით.

დიარეა საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ზაფხულის თვეებში მისი სიხშირე კიდევ უფრო მატულობს.

უმეტესად დიარეა არ არის საშიში ჯანმრთელობისათვის და რამდენიმე დღეში მკურნალობის გარეშეც გაივლის.

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა საკმაოდ გავრცელებულია, ბევრმა არ იცის როგორ მოვიქცეთ დიარეის დროს, მივიღოთ თუ არა საკვები, რა პროდუქტებია დასაშვები და რა აკრძალული.

* * *

ყველაზე დიდი საფრთხე რასაც დიარეა ორგანიზმს უქმნის არის დეჰიდრატაცია, ანუ გაუწყლოვნება. დეჰიდრატაციის ნიშნებია: სისუსტე, თავბრუსხვევა, გულის აჩქარება, არტერიული წნევის დაქვეითება.

ორგანიზმში წყლის ბალანსის აღდგენის საუკეთესო გზა არის სასმელები, რომლებიც შეიცავენ მარილებს და შაქარს.

შაქარი ხელს უწყობს წყლის შეწოვას, ხოლო მარილი ინარჩუნებს სითხეს ორგანიზმში. ასეთი სპეციალური ხსნარები იყიდება აფთიაქებში ურეცეპტოდ. ხსნარის მიღებამდე ყურადღებით წაიკითხეთ პრეპარატზე აღნიშნული მითითებები.

დიარეის დროს საუკეთესო საკვებია: ბანანი, ბრინჯი, ვაშლის პიურე, პურის ორცრობილა, შვრიის ფაფა, მოხარშული კარტოფილი ან პიურე. ხშირად პაციენტებს ჰგონიათ, რომ კვება გააუარესებს მათ მდგომარეობას, მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს.

ზემოთ აღნიშნული საკვები პრდუქტები შეგიძლიათ მიიღოთ 4-5-ჯერ დღეში, მცირე ულუფებით. დიარეის დროს ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია დიდი რაოდენობით სასმელი წყლის მიღება.

დიარეის ხანგრძლივობას ამცირებენ პრობიოტიკები. ეს არის საკვები, ან საკვები დანამატი, რომელიც შეიცავს ცოცხალ ბაქტერიებს და აღადგენს ნაწლავების ნორმალურ ფლორას.

მედიკამენტების გარდა პრობიოტიკებს საკვები პროდუქტებიც შეიცავენ. ზოგადად რძის პროდუქტები დიარეის დროს არ არის რეკომენდებული, მაგრამ გამონაკლისს წარმოადგენს სპეციალური, პრობიოტიკებით გამდიდრებული იოგურტი ან კეფირი.

თუ დიარეა 3-4 დღეზე მეტად გახანგრძლივდა, თუ განავალში შენიშნეთ სისხლი, გაქვთ მაღალი ტემპერატურა, ან თავს ძალიან სუსტად გრძნობთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

TV პროგრამა
7 იანვარი, ხუთშაბათი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ქართ. მოკ/ფ "**სუფთა დაფა**" , "**ზღარბი**" **12.30** ქართ. მხ/ფ "**მე" ბებია" ილიკო და ილარიონი" 14.05** მხ/ფ "**ემილიონ გირკანქიანი ბანკნოტი**" (გ.პეკი) **15.35** ქართ. მოკ/ფ "**ქორწილი**" **16.30** დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერი საშობაო სუფრა" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** დოკ/ფ "შობაზე შეყვარებულები" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** ქართ. მხ/ფ "**ცისფერი მთები ანუ" დაუჯერებელი ამბავი**" **22.00** "ეპოქის ფრაგმენტები" **22.15** კონცერტი: ნინო მაჩაიძე **00.10** მხ/ფ "**ქალის სურნელი**" (ალ პაჩინო) **02.40** მხ/ფ "**მისტერ ბინი დასასვენებლად მიემგზავრება**"

06.00 "**ბილოცავთ დამდეგ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!!!** **08.00** "ალილო" **08.05** ვენის სიმპონიური ორკესტრის საახალწლო კონცერტი **09.15** მხ/ფ "**პირველი გვერდი**" (ჯ.ლემონი) **11.00** ქართ. ტ/ფ "**მზიური**" **12.20** მხ/ფ "**უფლისწული და მოცეკვავე**" (მ.მონრო) **14.15** იტალიური კინომუსიკის შედევრები **15.25** მხ/ფ "**ნოთინგ ჰილი**" (ჯ.რობერტსი) **17.25** ქართ. ტ/ფ "**რეკორდი**" **18.25** ერთად სიცოცხლის სადარაჯოზე – ანიტა რაჭველიშვილი **20.00** ქართ. მხ/ფ "**რაჭა, ჩემო სიყვარულო**" **21.20** ზაზა მარჯანიშვილი – წეროს მოტანილი საჩუქარი **23.00** "ნამდვილი დრო" **23.40** მხ/ფ "**აუბანელი სისასტიკე**" (ჯ.კლუნი)

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30** მხ/ფ "**12 საშობაო ძაღლი**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ოცი წუთი**" **7** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **11.20** სერ. "**რჩეული**" **12.10** ქ.მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარაქალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 4**" **1-2** სერ. **00.00** კონცერტი: სუხიშვილები – **70 02.00** მხ/ფ "**რობერ გადაეგაბორროთ შობა**" (ბ.აფლეკი) **03.40** ერთხელ საქართველოში **04.25** მხ/ფ "**საშობაო ამბავი**" (პ.უოქერი) (ტიტ.)

08.00 ქ.მხ/ფ."**ვერის უბნის მელოდიები**" **10.00** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ანიმაცია "AGE: CONTINENTAL DRIFT" **2012** FOX **15.40** სერ. "**დაკარგული გაკვეთილი**" **16.55** სერ. "**ინდური საბა**" **18.55** სერ. "**შენ,მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**აღთქმა**" **22.00** ნიჭიერი პირდაპირი **00.00** მხ/ფ."**ვიზიტი**" პრემიერა **01.00** მიუზიკლი "**ქვითო და კოტე**" **03.00**კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. "HERBIE: FULLY LOADED" მხ/ფ. "ANGER MANAGEMENT"

8.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.00, 15.00** ან/სერ. "ავატარი". **9.30, 19.30** სერ. "**გრეის ანატომია**". **10.30** საახალწლო დოკ/ფ. **11.30** მხ/ფ "**პარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები - პირველი ნაწილი**". **14.00** მსოფლიოს ფესტივალები. **14.30, 18.30** სერ. "**ცენტრი**". **16.00** მხ/ფ "**ოთხი შობა**". **17.30** აირჩიე კაბა. **18.00** სერ. "**ახალი ბოგო**". **19.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **20.30** მაიკლ ბუბლეის საშობაო კონცერტი (2014) . **21.25** მხ/ფ "**ღვთიური შობა**". **23.15** ბინა **18. 0.15** Gremmy **2015**-ს დაჯილდოება. **3.30, 5.15, 7.00** URBAN STORIES. **4.15, 6.00, 7.45** ჯიდიპედია.

06.15 ჩვენი ფონდი "შობა უფლისა" **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "იასამანი" **07.05** ქართული ალბომი "არჩილ კერესელიძე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი "ასტროლოგია" **11.30** ეპოქის სახელები "გიორგი ჩუბინიშვილი" **12.10** მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ნოლინა" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** კონცერტი "ლაპრები" **16.00** მოკ. მხ/ფ "**წითელი ბუბუტი**" **17.25** ჩვენი ფონდი **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-ეკლესიური ცხოვრების დასაწყისი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** საუფლონი "შობა" **20.40** ძილი ნებისა "ქვეყანისმაშენებლები" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ალილო საშობაო "მართვე, ერქვანი, ანზორ ერქომაიშვილი..." **22.25** საუფლონი "შობა-განკაცება მაცხოვრისა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 19.00, 23.30, 3.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ ოლივერ ტვისტი" (ჟესტ.) **8.30** "ქალაქური მელოდიები" **10.00** ან/ფ "ბუშტუკები" **10.30** ქართ./ფ "**იავნანა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** კონცერტი "სანქტუსი" **13.30, 1.00** სერ. "**ბაბიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო "პულსი" **16.00** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** დოკ/სერ "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" **19.05, 2.00** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 3.30** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **21.30, 5.00** მხ/ფ "**იბალიელების თავგადასავალი რუსეთში**" **0.00** "მუსიკალური საღამოები" **4.30** დოკ/სერ "მსოფლიოს საუკეთესო სახლები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. ლუდის დანალექი, გამონახარში; 2. მოძრავი სცენა თეატრში; 3. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 4. ბრინჯისგან მომზადებული აღმოსავლური კერძი; 5. სრულყოფილი ფორმების, მშვენიერების მოტრფიალე; 6. საახალწლო ტკბილეული; 8. რაიმეს თანდათანობით გაუარესება, დაქვეითება; 10. ქურდობისადმი ავადმყოფური მიდრეკილების მქონე ადამიანი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 14. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ქერისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 16. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა.

თარაზულად: 1. უბანი ძველ თბილისში; 4. ინგლისელი მწერალი, ჯეიმს ბონდის პერსონაჟის შემქმნელი; 7. ჩეხური ავტომობილი; 9. გასართობი, სანახაობითი დაწესებულება; 12. ქართველი მეცნიერი, ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი; 13. ღვინის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 14. დიდგვაროვანთა მემკვიდრეობითი ტიტული ესპანეთში; 17. მოყვითალო სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 18. გეომეტრიის ნაწილი; 19. საარტილერიო ქვემეხის ერთ-ერთი სახეობა; 20. მთვარიანი ღამე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 იანვრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4054

ევრო — 2.6236

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5583

100 რუსული რუბლი — 3.2925

ამინდის პროგნოზი 7 იანვრისთვის

„ვოისმა“ ფინალისტები დაასახელა

მუსიკალურმა შოუ „ვოისმა“ ფინალისტები დაასახელა. პროექტის მწვრთნელებმა ანრი ჯოხაძემ, ნოდიკო ტატიშვილმა, ქეთა თოფურიამ და ნუცა შანშიაშვილმა ნახევარფინალისტებიდან რჩეულები გამოავლინეს და მაყურებელთან ერთად ის კონკურსანტები შეარჩიეს, ვინც 12 იანვარს გამარჯვებისთვის იბრძოლებს. 8 ნახევარფინალისტიდან შოუმ 4 ფინალისტი გამოავლინა, რამაც მაყურებელში გაღიზიანება გამოიწვია. მათი მტკიცებით, მწვრთნელებმა პროექტს მიღმა ყველაზე ძლიერი კონკურსანტები დატოვეს. პროტესტის ნიშნად ისინი ფინალის ყურებას აღარ აპირებენ.

ნოდიკოს გუნდის შედეგები ასეთია: სალომე დოლიძე 123 %, გრიგოლ ტვილდიანი 77 %, გათვალისწინებულია მაყურებლის და ნოდიკოს პროცენტები. ფინალში გადავიდა სალომე დოლიძე.

ქეთას გუნდის შედეგები ასეთია: ლევან ბეიტრიშვილი 95 %, გიორგი ნადიბაიძე 105 %, გათვალისწინებულია მაყურებლის და მწვრთნელის გადაწყვეტილება, ფინალში გადავიდა გიორგი ნადიბაიძე.

ანრის გუნდის შედეგები ასეთია: ილა წულაძე 73 %, ვანო ტურაბელიძე 127 %, გათ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ზიდანი: „დავიწყოთ მოგებები“

„ბურთი დაცვიდან უნდა წამოვიღოთ, ვაკონტროლოთ და მეტოქის ნახევარზე დავსახლდეთ“

ცხადია, ბოლო დროს ევროპულ ფეხბურთში განვითარებული მოვლენები მადრიდის რეალში ზინედინ ზიდანის მთავარ მწვრთნელად დანიშვნაა.

ზიდანის რეალში დანიშვნას გამოეხმაურა მარკო მატერაცი. ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი ამ ორი ფეხბურთელის დამოკიდებულება მას შემდეგ, რაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იჩხუბეს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მატერაცი ზიდანის დანიშვნას მიესალმება და წარმატებებს უსურვებს.

მარკო მატერაცი:

– რაფაელ ბენიტესმა რამდენიმე კლუბი დააქცია. ვერ ვივიწყებ ჟოზე მოურინიოს აწყობილ ინტერს. არ ვიცი, ალბათ დიდი ნიჭი სჭირდება, რომ გუნდში მიხვიდე და 3-4 თვეში სიტუაცია რადიკალურად შეცვალო. მილანური სცენარი მადრიდშიც განმეორდა და რეალმა მწვრთნელი დაითხოვა. მად-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ზიდანს რეალში აზარის ხილვა სურს

მადრიდის რეალი ახალმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა უკვე დაიწყო თავისი გუნდის გაძლიერებაზე ფიქრი და მისი უპირველესი სატრანსფერო მიზანი ჩელსის ბელგიელი შემტევი ედენ აზარია.

როგორც ინგლისში ამბობენ, აზარს ჩელსის დატოვება სურს.

რეალი აზარის მიმართ ადრეც ავლენდა ინტერესს, მაგრამ ეს ტრანსფერი გარკვეული მიზეზების გამო შედგა.

გარდა აზარისა, რეალი მანჩესტერ იუნაიტედის არგენტინელი მცველის, მარკოს როხოს, ყიდვასაც შეეცდება.

ბ.გ.

ნეიმარი რიოს ოლიმპიადისთვის ბრაზილიის ნაკრებში გამოიძახეს

ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დუნგა ზაფხულის ოლიმპიადისთვის ემზადება, რომელიც რიო დე ჟანეიროში უნდა ჩატარდეს.

ოლიმპიადაზე მხოლოდ 23 წლამდე ფეხბურთელებს აქვთ თამაშის უფლება, მაგრამ ყველა ნაკრებს შეუძლია, 3 შედარებით უფროსი ფეხბურთელი წაიყვანოს ამ ტურნირზე. დუნგამ ეს 3 ფეხბურთელი უკვე აირჩია. აქედან ერთ-ერთი ბარსელონას ვარსკვლავი ნეიმარია, რომელიც ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. თუმცა, ნეიმარი ოლიმპიადაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ მას ბარსელონა მისცემს ამის უფლებას.

ბ.გ.

კლოპი: „ტერ შტეგენი არ გვჭირდება“

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლივერპული ბარსელონას მეკარით, მარკ ანდრე ტერ შტეგენით იყო დაინტერესებული.

ცნობილი გახდა, რომ ტერ შტეგენი მცირე სათამაშო დროით უკმაყოფილოა და გუნდის გამოცვლაზეც ფიქრობს.

ეს ინფორმაცია თვითონ გერმანელ მეკარეს არ დაუდასტურებია, ტერ შტეგენის თანამემამულე იურგენ კლოპი კი აცხადებს, რომ მას სრულებით აკმაყოფილებს ლივერპულის მეკარე სიმონ მინიოლეს თამაში და ტერ შტეგენის სამსახურით დაინტერესებული არ არის.

– მარკ ანდრე ძალიან კარგი მეკარეა, მაგრამ მე ახალი გოლკიპერი არ მჭირდება. შეიძლება ითქვას, ტერ შტეგენის შეძენა არ გვჭირდება, – განაცხადა იურგენ კლოპმა.

ბ.გ.

ივოვეს სიან ბლეიკის ცხედარი



ინგლისის პოლიციამ ცნობილი მსახიობის სიან ბლეიკის ცხედარი აღმოაჩინა.

ბლეიკმა სახელი სერიალით „ისტ-ენდის მაცხოვრებლები“ მოიხვეჭა. ის რამდენიმე სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმშიაც თამაშობდა. აქედან კრიტიკოსები განსაკუთრებით გამოყოფენ „ციმბირი 1998“-ს.

სიან ბლეიკი 2015 წლის 13 დეკემბერს გაუჩინარდა.

ბლეიკის ცხედრის აღმოჩენის შემდეგ დადგინდა, რომ ცნობილი კინომსახიობი მოკლეს.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

„ოთხი“

მეგობარი მეგობარს ეკითხება:

– შენს მანქანაში ასეთი საშინელი სუნი რატომ დგას?

– 120 ცხენის ძალაა, და აბა რა იქნება!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ქალო, ნუ ცეკვავ!

– რატომ?

– ხომ გითხარი, ნუ ცეკვავ მეთქი!!!

– რატომ, მაგარი სიმღერაა!

– საჭეს მოკიდე ხელი!!!

●●●

მამაკაცი მეგობარს ტელეფონზე ურეკავს და ეკითხება:

– რას აკეთებ?

– ვწევარ.

– მთელი დღე წოლით არ დაიღალე?

– არა, ზოგჯერ გვერდს ვიცვლი ხოლმე.

●●●

ახალი წლის მეორე დილით გოგონა ბიჭს ურეკავს და ეკითხება:

– აუ, გუშინ რა მაგრად დავთვერი, არაფერი მახსოვს. და შენ ხომ არ გახსოვს, რაიმე მოხდა ჩვენ შორის?

– არა, არაფერი მომხდარა.

– ჰოო, არც ამჯერად გაგიმართლა, უიღბლო ხარ!

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ჩემთან აგარაკზე ამოდი.

– არ მინდა.

– სამწუხაროა, არადა, ლუდი გვაქვს, ნასვამი გოგოები გვყავს და საერთოდ მაგრად ვართ.

– მამა! ვეღარ მომატყუებ, თვითონ ამოიღეთ თქვენი კარტოფილი!

●●●

შვილი დედას ურეკავს და ეუბნება:

– დედა, გახსოვს, ერთხელ ცუდად მოვიქეცი და შენ ჩამკეტე, მარტო დამტოვე და წახვედი?

– არა, არ მახსოვს.

– არ გახსოვს? ეს როგორ? აქამდე აქ ვზივარ და ვიტანჯები!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა შეიძლება იყოს იმაზე საშინელი, როდესაც ვაშლის ჭამის დროს მის შიგნით მატლს აღმოაჩენ?

– როდესაც ვაშლში მატლის ნახევარს აღმოაჩენ.

●●●

პატარა გოგონა დედას ეკითხება:

– დედიკო, მამიკოს თავზე თმა რატომ არ აქვს?

– იმიტომ, რომ ბევრს ფიქრობს...

– შენ რატომ გაქვს ბევრი თმა?

– გაჩუმდი და ჭამე!!!

●●●

მეგობრები პოკერის სათამაშოდ შეიკრიბნენ. თამაშის დროს ერთ-ერთი გარდაიცვალა და გადაწყვიტეს მისი მეუღლისთვის შეეტყობინებინათ. ურეკავენ ტელეფონზე:

– ალო, სოფიო, შენ ხარ?

– დიახ, რომელი ხარ?

– ავთო ვარ, გოგის მეგობარი.

– რა მოხდა?

– გუშინ შენი ქმარი ჩემთან მოვიდა, ბიჭები პოკერს ვთამაშობდით, ისიც შემოგვიერთდა და დიდი თანხა წააგო.

– ოჰ, ეგ ჩასაძაღლებელი!!!

– არ ინერვიულო, უკვე ჩაძაღლდა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარკ ტვენის „ადამ და ევას დღიურები“ მუსიკისა და დრამის თეატრშია



შობის ბრწყინვალე დღესასწაულს მუსიკისა და დრამის თეატრი ახალი სპექტაკლით ხვდება. „და იყო ღამე და იყო დღე...“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც რეჟისორმა მანანა სურმავამ მარკ ტვენის „ადამ და ევას დღიურები“-ს მიხედვით დადგა.

სპექტაკლში მონაწილეობენ გია ჭყონია, მანანა სურმავა, გია გოგიშვილი, რუსუდან კვალიაშვილი, ვისელი ჭეჭელაშვილი, სალომე კვალიაშვილი და გიგო კვალიაშვილი.

– კომედიაში, რასაც ჰქვია „ადამ და ევას დღიურები“ შეჭრილია ხუთი ინტერმედია, რომელიც დღევანდელობასა და წარსულს შორის ერთგვარი გადებული ხიდია, სადაც დღევანდელი დღის პრობლემები, არცთუ ისე მოსაწონი, მსუბუქად, ბრიტანული იუმორით, გაბოროტების გარეშე დაგვანახებს, თუ რას ვსპობთ ჩვენივე ხელით. ადამ და ევას დღიურებიდან აწყობილი დიალოგების საშუალებით იშლება ორი ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების გულუბრყვილო ისტორია; ისტორია ერთმანეთის აღმოჩენის, ღმერთის, საკუთარი შეცდომების და ყველაზე დიდი ჭეშმარიტების – ჩვენ სიყვარულისთვის ვართ შექმნილი, – აცხადებს რეჟისორი.

სპექტაკლი მუსიკისა და დრამის თეატრში 7 და 8 იანვარს გაიმართება.

თბილისში ელდარ რიაზანოვის ხსოვნის საღამო გაიმართება



8 იანვარს თბილისში, გრიბოედოვის თეატრში ცნობილი კინორეჟისორის ელდარ რიაზანოვის ხსოვნის საღამო გაიმართება.

ელდარ რიაზანოვი 88 წლის ასაკში 30 ნოემბერს მოსკოვში გარდაიცვალა. საბჭოთა და რუსი კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი და პოეტი თავისი შემოქმედებით ყოველთვის გამოირჩეოდა კინო სამყაროში.

თბილისში გამართულ ხსოვნის საღამოზე რეჟისორს გაიხსენებენ მისი ქართველი მეგობრები და კოლეგები ელდარ შენგელაია, მერაბ კოკოჩაშვილი... სიმღერებს მისი კინოფილმებიდან შეასრულებს ირმა სოხაძე. გაჟღერდება რიაზანოვის უცნობი ლექსებიც. საღამოს დასასრულს ნაჩვენები იქნება ელდარ რიაზანოვის ერთ-ერთი უკანასკნელი ფილმი „საძინებლის გასაღები“, სადაც მთავარ როლებს ასრულებენ სერგეი მაკოვეცკი, სერგეი ბეზრუკოვი, ნიკოლაი ფომენკო.

ელდარ რიაზანოვის ხსოვნის საღამოს თბილისში საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“ აწყობს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა